ყოველ ბოლოს, „ყოველდღე" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№126 (1021) 19 – 21 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„აირზენა" რუსეთის სამსხვერპლოზე

გვ. 4

მაფიის მეფასტაზები

50-მდე კომპანია, 2005-2013 წლებში ჯამური ბრუნვით 4 მილიარდ 645 მილიონი ლარი და წელიწადში ნაშოვნი ნახევარ მილიარდზე მეტი

ჟურნალისტური გამოძიება

გვ. 2–3

კეზერაშვილის ორი კარტელი: ნავთობი და რეკლამა

საყდრისი პოლიტიკურ ჭრილში – აფინანსებდა თუ არა ნაციონალური მოძრაობა კომიტეტს

გვ. 6

„პაზიმრები გვემუქრებიან, თვითდაზიანებას მივიყენებთ და მასობრივ შიმშილობას დავიწყებთო"

გვ. 5

რა პრობლემების შექმნას ცდილობენ „ქურდული მენტალიტეტის" მსჯავრდებულები და რა ვითარებაა დღეს საქართველოს ციხეებში

რა გავლენას მოახდენს რუსული სავალუტო კრახი საქართველოს ეკონომიკაზე

გვ. 9

წალკაში კოოპერატივების გაერთიანება „თეზი" შეიქმნა

გვ. 10

სისხლის დეფიციტი – გამოწვევა ონკოჰემატოლოგიური პატარა პაციენტებისთვის

გვ. 10

„მათ კონცერტებს საქართველოში აღარ გავაკეთებ... ომში დაღუპული ბიჭების გვამებს გადაუარეს!"

გვ. 7

რატომ აღარ ემეგობრება შვილის ნათლიას და რა შემთხვევაში დატოვებს საქართველოს დათო ოქიტაშვილი

სამშობლოდან „როძინამდე"

ყაჩაღი ძმების „აღიარებითი ჩვენება"

რატომ დააჭერინა დედამ შვილები პოლიციას და რატომ დააბრალეს ბიჭებს 72 წლის მოხუცის გაუპატიურება

გვ. 8

მაფიის მეჯასტაზები

გიორგი იაშვილი

საქართველოს ბაზარზე მოქმედი ნავთობკომპანიები მუშაობენ ისეთ ზემოგებაზე, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება მსოფლიოში. ნაციონალური მოძრაობის დროს გაკოტრებული ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორის თქმით, რომელსაც ფოთში საკუთარი ნავთობტერმინალი წაართვეს, მისი დისტრიბუტორებზე მისაყიდი ფასის მარჟა მხოლოდ 1 თეთრი იყო ერთ ლიტრზე. ზემოხსენებული მოგება მხოლოდ დისტრიბუტორ კომპანიებს რჩებათ, რომელთაგან ზოგი შემომტანიცაა, თუმცა ხშირ შემთხვევაში კომპანიები ერთმანეთის მიერ შემოტანილ საწვავს იყენებენ საცალო ვაჭრობაში, ამიტომ იმპორტის ფასი და საცალო ვაჭრობის ღირებულება ცალკ-ცალკე ითვლება.

50-მდე კომპანია, 2005-2013 წლებში ჯამური ბრუნვით 4 მილიარდ 645 მილიონი ლარი და წელიწადში ნაშოვნი ნახევარ მილიარდზე მეტი

ამონარიდი ბიზნესპრესნიუსის სტატიიდან:

„პლატცის საერთაშორისო ფასი არის 574 დოლარი, რაც ეროვნულ ვალუტაში 1056 ლარია (1.84 კურსით). ამას ემატება აქციზის გადასახადი - 250 ლარი. ჯამში ვღებულობთ 1306 ლარს. 1 ტონა ბენზინი 1330 ლიტრი მოცულობისაა. თუ 1306 ლარს გავყოფთ 1330 ლიტრზე, მივიღებთ, რომ კომპანიებს 1 ლიტრი საწვავი აქციზის გადასახადთან ერთად 98 თეთრი უჯდებათ. რასაკვირველია, საწვავს ტრანსპორტირება და რეალიზაცია უნდა და ესეც კომპანიის ხარჯია. სანავთობო კომპანიებს ფინანსურ ანგარიშებში მითითებული აქვთ, რომ სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ოდენობა 1 ლიტრზე 10 თეთრს შეადგენს. როგორც დავთვალეთ, 1 ლიტრი საწვავი ყველანაირი ხარჯით 1.08 ლარი ჯდება. ამ თანხას ემატება დღგ — 18%, რაც 19.4 თეთრია. საბოლოო ჯამში, ყველანაირი ხარჯის ჩათვლით 1 ლიტრი პრემიუმი კომპანიებს დაახლოებით 1.27 ლარი უჯდებათ და საშუალოდ 2.09 ლარად ჰყიდიან ანუ 80-82-თეთრიანი მოგებით. გამოდის, ეს კომპანიები საწვავს 64%-იანი მოგების მარჟით ჰყიდიან, რაც ჩვენი საზოგადოების სამართლიან გულისწყრომას იწვევს“.

საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პრაქტიკულად, არავითარი ცვლილება არ შეხებია ნავთობპროდუქტების სფეროს. არ მომხდარა არც ფასის საგრძნობი შემცირება და არც ბაზარზე მოთამაშე კომპანიების ცვლილება. საწვავის სეგმენტში არსებული მოგების მაღალი მარჟის მიუხედავად, ბაზარზე არცერთი ახალი კომპანია არ გაჩენილა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა მონოპოლისტებს და მოქმედ კარტელს დაშლიდა. შიდაბაზარზე არსებული ფასები მოწყვეტილია მსოფლიოში არსებულ რეალობას. რჩება შთაბეჭდილება, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს დალაგებული სქემები დღესაც აგრძელებენ მუშაობას და მილიონების მოტანას მათი შემქმნელებისთვის. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ „ლუკოილი“ დავით კეზერაშვილის პირად საფულეს წარმოადგენდა თავიდან, ხოლო მოგვიანებით, შპს „მაგნატის“ გაკოტრების შედეგად და მისი ქონების ხელში ჩაგდების შემდეგ, შექმნა კომპანია „გალფი“, რომლის იურიდიული სახელწოდებაც შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯიაა“.

მოცემულ სტატიაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და ექსპერტთა კვლევებში სხვადასხვა დროს მოძიებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, გვსურს, წარმოგიდგინოთ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიების სქემები, რომლითაც იგი ქართულ ბაზარზე დღემდე ოპერირებს. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი კომპანიიდან ოფშორში დარეგისტრირებულ მთავარ კომპანიამდე ხაზი რამდენიმე ასევე ოფშორულ კომპანიაზე გადის, რაც ართულებს მის როგორც აღმოჩენას, ასევე ფინანსური ნაკადების მიმართულებების შესწავლას.

მხოლოდ საქართველოს შიდაბაზარზე კეზერაშვილის სახელთან დაკავშირებულია 50-მდე კომპანია, რომელთაც 2005-დან 2013 წლამდე პერიოდში, უხეში გათვლით, ჯამურად დაახლოებით 4 მილიარდ 645 მილიონი ლარის ბრუნვა გააჩნდათ, რაც წელიწადში საშუალოდ ნახევარ მილიარდზე მეტ თანხას შეადგენს. ამ ასტრონომიული თანხის სათავეში აბსოლუტურად არავითარი ბიზნესწარსულის მქონე დავით კეზერაშვილი მოექცა, რომელიც ვარდების რევოლუციის ჩრდილოვან ავანგარდს შეყვა ხელისუფლებაში და ბიზნესის კონტროლისთვის ყველაზე სტრატეგიულ სამსახურში, ფინანსური პოლიციის უფროსად დაინიშნა უშუალოდ სააკაშვილის მიერ. ბიზნესის პირველადი ძარცვის შემდეგ, კეზერაშვილის მეთაურობით იწყება ისეთი სქემების დალაგება, რაც ნაციონალური მოძრაობის ელიტას საშუალებას მისცემდა საზღვარგარეთ, ოფშორულ ზონებში გაეტანათ მონოპოლისტური საქმიანობით მიღებული ქონება.

როგორც სქემაზე ჩანს, ფინანსური პირამიდის სათავეში სეიშელის კუნძულის ოფშორში რეგისტრირებული Future Products Company დგას, რომელსაც საქართველოში ოფიციალუ-



კეზერაშვილის ორი კარტელი: ნავთობი და რეკლამა

რი წარმომადგენლობაც გააჩნდა ადგილობრივი ბიზნესების მაკონტროლებლად. გარდა გადამზიდავებთან, პორტთან, ტერმინალებსა და ვაგონმშენებელ ქარხანასთან დაკავშირებული კომპანიებისა, როგორიცაა შპს „არგოტრანსჯორჯია“, „ქართული სალოკომოტივო კომპანია“, სს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“, შპს „ჩენელ ენერჯი“ და ა.შ, ოფშორის ერთ-ერთ მთავარ აქტივს შპს „სან პეტროლეუმ ჯორჯია“ იგივე „გალფი“ წარმოადგენს. „სან პეტროლეუმ ჯორჯია“, გარდა საკუთარი საქმიანობისა, თავის მხრივ, სხვა მრავალი კომპანიის დამფუძნებელი ან თანადამფუძნებელია, რომელთა საშუალებით ბაზრის სხვადასხვა სეგმენტზე იყო წარმოდგენილი, როგორც ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის სფეროში, ასევე სხვადასხვა მომსახურების მიმართულებით, რითაც კომპანიის ხარჯები თავისივე ქვეკომპანიების შეკვეთებზე ნაწილდებოდა.

მეორე ძირითად ოფშორულ კომპანიას „აგრომაქსკაპიტალი“ წარმოადგენს, რომლის საქმიანობაც სარეკლამო სეგმენტს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ „აგრომაქსის“ აქტივები მოიცავს სავაჭრო, ტრანსპორტირებების, თევზსაშენის, შაქრის წარმოების და ჰიდროენერგეტიკასაც კი, მისი მთავარი აქტივია შპს „აუთდორ.ჯი“, რომელიც, თავის მხრივ, ათობით ქვეკომპანიის დამფუძნებელი და მოწილეა. ამ კომპანიის მეშვეობით, „აუთდორი“ ერთადერთი მონოპოლისტია თბილისის გარერეკლამის სფეროში. „აგრომაქსი“ შვილობილი, ასევე ოფშორული კომპანიების მეშვეობით, სარეკლამო წარმოების სფეროშიც მონაწილეობს და რამდენიმე სტუდიის მფლობელია. გავრცელებული ინფორმაციით, მასვე უკავშირდება ჟურნალ „ტაბულას“ საკონტროლო პაკეტის ფლობაც, რომლის დაფინანსებასაც ენერგეტიკული პროფილის კომპანიით ახორციელებს.

წლების მანძილზე ჯამური ბრუნვა ამ კომპანიებში მილიარდებს აღწევს. მსხვილი კომპანიებიდან მსხვილ შეკვეთებს ისევ შვილობილი კომპანიები იღებენ. ამავე კომპანიებზეა მიბმული ნაცნობების, ნათესავების თუ მეგობრების შემოსავლები. სქემის პრინციპია, რომ მსხვილი მომგებიანი ბიზნესის საქვეკონტრაქტორო მომსახურებისათვის ცალკე კომპანია უნდა დარეგისტრირდებულიყო, რაც მოგების წილის მაქსიმალურ ამოღებაზე იყო გათვლილი. ბიზნესის ეს მარტივი სქემა იძლეოდა მრავალი ნათესავისა და მეგობრის დასაქმების საშუალებას, მათ ფინანსურ უზრუნველყოფას მათივე შრომით, უფრო მეტი ფინანსური მოგების მიღებას და ბიზნესსექტორში მეტი და მეტი დარგის კონტროლს. ახლადწარმოქმნილი ბიზნესინტერესები მეტასტაზებივით იყო მოდებული ქართულ ბიზნესს, რაც მის მეთაურს საშუალებას აძლევდა მიეღო მაქსიმალური მოგება და დაეგროვებინა კაპიტალი.

დღეს აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ სწორედ დავით კეზერაშვილი წარმოადგენს მთავარ ბუღალტერს და განმკარგავს იმ ნაძარცვი ფულისა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ელიტამ დააგროვა მმართველობის პერიოდში. ამასთანავე, კეზერაშვილი წარმოადგენს პირადად მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებულ ფინანსურ ბერკეტს, რომელიც უშუალოდ ემორჩილება მას და ოფშორულად რეგისტრირებული დოკუმენტაციის გამო რთული გასარკვევია, კეზერაშვილის სახელზე რეგისტრირებული ქონებიდან რამდენია უშუალოდ სააკაშვილის.

მიუხედავად ნაციონალური მოძრაობის მტკიცებისა, რომ მათ არ უზრუნიათ პირად გამდიდრებაზე მმართველობის პერიოდში და ბიზნესმენი ნათესავების ქონება მხოლოდ მათივე ნიჭიერებისა და უნარების წყალობით გაჩნდა, არ არსებობს არცერთი, თუნდაც ყველაზე უტიფარი არგუმენტი, რომელიც ახსნიდა, თუ რა სახითა და საშუალებით დააგროვა კეზერაშვილმა მილიარდობით ქონება.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ნაციონალებმა, მართალია, დაკარგეს სახელისუფლო ბერკეტები და პრივილეგიები, მაგრამ მათ მიერ, თავის დროზე, აწყობილი ბიზნესსტრუქტურები და მექანიზმები დღემდე ახერხებენ საკმარისი შემოსავლის მოტანას, რაც ნაციონალური მოძრაობის, როგორც პარტიის, ფინანსური უზრუნველყოფის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს. ვინაიდან დღევანდელი ხელისუფლება ვერ გაიმეორებს წინამორბედის დანაშაულს და პოლიტიკური მოტივაციითა და ძალისმიერი მეთოდით ვერ გაუსწორდება ოპონენტს, ამისთვის აუცილებელია, საზოგადოებამ კარგად იცოდეს, თუ რა წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობის მოტივაციას, რა ფესვებიდანაა აღმოცენებული და რომელი პრივილეგიების დაბრუნებისათვის იბრძვის. სწორედ ამიტომ „ვერსია“ იწყებს ჟურნალისტური გამოძიების ციკლს, რომელსაც უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ და წარმოგიდგენთ, ნაციონალური მოძრაობის ელიტის სხვა წარმომადგენლების საქმიანობის ბიზნესსქემებს, თუ რა სფეროებს აკონტროლებდნენ, ვისი საშუალებით და რამდენი მილიონი დაკარგა ქვეყანამ მათი წყალობით.


AgroMax Capital
Global Agro Industry FZCO, არაბ.
Redeli management
Adprojects inc.
100%
100%
100%
100%
30%
100%
100%
70%
10%
70%
შპს ჯეო ტეკი
შპს ანატოლია თრეიდ კომპანი
შპს GeTrans
შპს უნივერსალ კაპიტალ გრუპი
სახელმწ იფო
შპს EXPRESS (უაიდ დისტრიბუშენი)
შპს აუთდორ ტიპოგრაფი
შპს ბი-ეს-ემ ჯორჯია
შპს აუთდორ.ჯი
51%
5%
20%
16.3%
24.5%
100%
60%
5%
25%
50%
8.2%
40%
50%
100%
5%
25%
25%
25%
25%
100%
51%
100%
100%
50%
50%
25%
50%
50%
70%
100%
54%
55%
75%
30%
100%
50%
50%
50%
50%
45%
25%
50%
50%
50%
50

გამოხმაურება „ვერსიის“ პუბლიკაციაზე

„აირზენა“ რუსეთის სამსხვერპლოზე

გაზეთ „ვერსიის“ 17 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა პუბლიკაცია სათაურით „ავიადაპირისპირების უცნობი დეტალები“, რის შემდეგაც რედაქციას დაუკავშირდა „აირზენას“ წარმომადგენელი იასე ზაუტაშვილი და მასალაში გამოთქმულ მოსაზრებებზე პოზიციის დაფიქსირება ითხოვა. „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ მოწოდებულ პუბლიკაციას.

კვირაზე მეტი გავიდა, რაც „აირზენასა“ და საქართველოს მთავრობას შორის არსებული გაურკვევლობა ავიაკომპანიის თანამშრომელთა გაფიცვასა და საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. მოსახლეობას აინტერესებს, რა ხდება ქართულ ავიაციაში. ჩვენ ვცდილობთ, ხალხს მარტივად და გასაგებად ავუხსნათ ვითარების არსი, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლები საკითხს შეგნებულად ართულებენ და აბუნდოვნებენ, რათა მოსახლეობამ ვერ გაარკვიოს, ვინ მართალია და ვინ — მტყუანი. ამგვარი მიდგომის ერთი კონკრეტული ნიმუშია გაზეთ „ვერსიის“ 17 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელ გურამ ჯალაღონიასთან.

ამ ინტერვიუს განხილვას არ შევუდგებით, ვინაიდან ეს არის არა საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტისა და თანამდებობის პირის მსჯელობა, არამედ სრულიად არაკვალიფიციური ადამიანის საუბარი იმ საკითხებზე, რომელშიც დილეტანტის დონეზეც ვერ ერკვევა. როდესაც სამთავრობო სტრუქტურის უმაღლესი თანამდებობის პირი სამოქალაქო ავიაციის საკითხებზე პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ეყრდნობა არა საკუთარ კომპეტენციასა და საქმის ღრმა ცოდნას, არამედ იმოწმებს, მისი სიტყვებით, „ავიაბაზრის საქმეში კარგად ჩახედული პირების ინფორმაციას“, საქმე მართლაც ტრაგიკომიკურად გამოიყურება. ბატონი ჯალაღონია ამით აღიარებს მის სრულ არაკომპეტენტურობას იმ სფეროში, რომელიც მისი საკურატოროა. თავისი განათლებით ის რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, როგორ შეიძლება, დარგის ხელმძღვანელი ვიღაც ინკოგნიტო პირთა ინფორმაციას იმოწმებდეს, რომლებთანაც, როგორც ჩანს, მოცალეობის ჟამს, ავიაციის საკითხებზე ჭორაობს.

საკითხი, რომლის გართულებასაც ბატონი ჯალაღონია ცდილობს, სინამდვილეში უმარტივესია. რუსული (ძლიერი) ავიაკომპანია აკრძალული მეთოდებით ცდილობს, ქართული (სუსტი) ავიაკომპანიის გაკოტრებასა და ბაზრიდან ჩამოცილებას. ბიზნესში ასეთი ქმედება არც ახალია და არც გასაგებადაა რთული. რთული გასაგები მხოლოდ ისაა, როდესაც მთავრობა უპატიოსნო და მიუღებელი მეთოდებით ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების მსურველ უცხოურ კომპანიას უჭერს მხარს და არ იცავს საკუთარი კომპანიის სრულიად კანონიერ ინტერესებს. ამ უთანასწორო და უპატიოსნო ბრძოლაში ძლიერი (ანუ რუსული კომპანია) რომ გაიმარჯვებს და სუსტი (ანუ ქართული კომპანია) დამარცხდება, ეჭვს არ იწვევს. ასეთ დროს, ვინ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი არბიტრი და მსაჯული, თუ არა ქართული სახელმწიფო. აი, რას ითხოვენ ქართული ავიაკომპანია და მისი თანამშრომლები საქართველოს მთავრობისგან. განა, ეს არასწორი მოთხოვნაა?

ეკონომიკის სამინისტრო გვიკიჟინებს — „აირზენას“ მაღალი ფასების დაწესება სურსო. სიცრუეა, ჩვენ კი არ ვწევთ სამგზავრო ბილეთების ფასებს მაღლა, რუსული კომპანია წევს ფასებს ბილეთების თვითღირებულებაზე დაბლა, რათა შექმნას კონკურენციის არაჯანსაღი პირობები, რომლის მეშვეობითაც გააკოტრებს ქართულ ავიაკომპანიას და ჩამოიცილებს მას გზიდან. რა მოხდება ამის შემდეგ? მოხდება ის, რომ რუსული კომპანია ერთბაშად აწევს ბილეთებზე ფასებს და სწორედ ქართული მოსახლეობის ჯიბიდან შეეცდება, ქართული კომპანიის გასაკოტრებლად გაწეული ხარჯების ამოღებას. ამიტომ არის, რომ ფასებით ხელოვნური მანიპულირება (რომელ მხარესაც არ უნდა იყოს იგი მიმართული — ზემოთ თუ ქვემოთ), ყველგან დანაშაულად ითვლება და კანონით ისჯება. ეკონომიკის სამინისტროსა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ეს არ ესმით. ესაა მათი დანაშაული არა მარტო ქართული ავიაკომპანიის, არამედ ქართული ეკონომიკისა და, გნებავთ, ქართველი ხალხის წინაშეც.

ეკონომიკის სამინისტრო რუსულ ავიაკომპანიას მოსკოვის მიმართულებით ფრენის სიხშირის გაზრდაშიც უჭერს მხარს, რაც ისევ ქართული კომპანიის საზიანოდაა მიმართული. ფასების ხელოვნური დაწევა და ფრენის სიხშირის ასევე ხელოვნური გაზრდა ერთი ოპერიდანაა. ამ ორივე შემთხვევაში ირღვევა სამართლიანობის პრინციპი და იჩაგრება სუსტი. ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადადგმული ორი ნაბიჯიდან ორივე რუსული მხარის სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ არის გადადგმული და, ეჭვგარეშეა, ეკონომიკის სამინისტრო გამიზნულად მოქმედებს, თუმცა რატომ იქცევა ასე, რატომ მიაქვს მას ქართული ავიაკომპანია რუსეთის სამსხვერპლოზე? ეს ის კითხვაა, რომელზე პასუხის გაცემაც ჩვენს კომპეტენციას სცდება.

რუსულ ავიაკომპანიას ფული რუსეთის ბიუჯეტში შეაქვს, ამიტომ მისი ინტერესების დაცვასა და ქართული ავიაკომპანიის გაკოტრებისთვის ხელის შეწყობას, სჯობს, რუსულ ავიაკომპანიას ქართული ავიაბაზარი პირდაპირ დაუთმონ, ოღონდ იმ პირობით, რომ მოგების გარკვეულ ნაწილს კომპანია ქართულ ბიუჯეტში შეიტანს. ეს ცუდი ვარიანტია, მაგრამ გაცილებით სჯობს იმას, საითკენაც ეკონომიკის სამინისტროს მიჰყავს საქმე. დარწმუნებულნი ვართ, ეკონომიკის სამინისტროსა და სამოქალაქო ავიაციის ამ, ყოვლად გაუმართლებელ, პოზიციას მთლიანად მთავრობა არ გაიზიარებს. სწორედ ამიტომ ვითხოვთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას.

„საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას მიესალმება“

ევროპარლამენტმა ხმათა დიდი უმრავლესობით მიიღო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც უკვე ერთმნიშვნელოვნად აყენებს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიესალმა კენჭისყრის შედეგს, როგორც ევროპარლამენტის მიერ საქართველოს ევროპული პერსპექტივის მხარდაჭერის მკაფიო დადასტურებას: **„ყველა ქართველის სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო ევროპარლამენტის წევრებს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ინსტიტუტებისადმი ნდობისათვის, რომელიც ამ კენჭისყრის შედეგში გაცხადდა. ბოლო წლებში ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად, რომლებმაც განაპირობა კიდეც ჩვენი ეს წარმატება. ასოცირების ხელშეკრულების საშუალებით ჩვენ უზრუნველყოფილნი ვიქნებით შესაბამისი სამოქმედო გეგმით, რათა გაგრძელდეს ეს პროცესი და ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანების მიზნისკენ წინსვლას მივაღწიოთ“.**

ევროპარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში კიდევ ერთხელაა დადასტურებული, რომ **„საქართველოს აქვს ევროპული პერსპექტივა და ის შეძლებს წარდგეს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადით, თუ დაიცავს დემოკრატიის პრინციპებს, პატივისცემით მოეპყრობა ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებებს, ასევე უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას“.**

„დღეს საქართველო არის ევროპული პარტნიორობის წარმატების მაგალითი. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამ ხელშეკრულების სრულად და სწრაფად განხორციელება, რათა ქვეყანაში სრულად დამკვიდრდეს ევროპული სტანდარტები“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროინტეგრაცია საქართველოს მოქალაქეებს მოუტანს ხელშესახებ შედეგებს. მეორე მხრივ, საქართველო იქნება ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორი: **„საქართველო არის სტაბილური დემოკრატიის, აქტიური ეკონომიკის ქვეყანა, სათანადო უნარების მქონე და სანდო კონტრიბუტორი საერთაშორისო უსაფრთხოების საქმეში, ასევე ის არის ევროპისკენ მიმავალი ენერგორესურსების საკვანძო სატრანზიტო ქვეყანა“.** ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის გარდა, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება განახორციელა ევროკავშირის წევრმა შემდეგმა სახელმწიფოებმა: ბულგარეთი, ხორვატია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, რუმინეთი, სლოვაკეთი, შვედეთი და დანია. იმისათვის, რომ ხელშეკრულება სრულად შევიდეს ძალაში, მისი რატიფიცირება უნდა მოახდინოს ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ. ხელშეკრულების ზოგიერთი თავი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ჩათვლით, ძალაში 1 სექტემბერს შევიდა.

„პირველი“

სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით გრემის რწმუნებული დააკავეს

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 1956 წელს დაბადებული გიორგი ღუტიშვილი სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, 2014 წლის შემოდგომაზე, რთვლის პერიოდში, ყურძნის მიღება-ჩაბარებისას, მოქალაქის სახელზე სისტემატურად გასცემდა ყალბ დოკუმენტაციას. ღუტიშვილმა ამ მოქალაქის სახელზე სულ გასცა 108 ტონა ყურძნის მიღება-ჩაბარების შესახებ ყალბი ცნობა, რის გამოც კახეთის რეგიონის რამდენიმე ღვინის ქარხანამ 81 000 ლარის ზარალი მიიღო.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გიორგი ღუტიშვილი გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩაზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 341-ე მუხლით მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

ქედაში დაკარგული 27 წლის ბიჭის ცხედარი მდინარეში იპოვეს

აჭარის სამაშველო სამსახურის უფროსის, მამუკა თურმანიძის განმარტებით, ვახტანგ ირემაძის ცხედარი სამაშველო ჯგუფმა მდინარე აჭარისწყალში იპოვა.

გარდაცვლილი ბათუმის პროზექტურაში, ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

27 წლის ვახტანგ ირემაძეს ოჯახი და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

„პირველი“

„პატიმრები გვემუქრებიან, თვითდაზიანებას მივიყენებთ და მასობრივ შიმშილობას დავიწყებთო“

რა პრობლემების შექმნას ცდილობენ „ქურდული მენტალიტეტის“ მსჯავრდებულები და რა ვითარებაა დღეს საქართველოს ციხეებში

ეროსუდან შელია
557-100-768

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო რეფორმებისთვის ემზადება, თუმცა მანამდე ერთ მთავარ პრობლემასთან გამკლავება მოუწევს — ე.წ. ქურდული მენტალიტეტის პატიმრები ადმინისტრაციას მასობრივი შიმშილობითა და თვითდაზიანებით ემუქრებიან. პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე „ვერსიასთან“ სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე, კახი კახიშვილი საუბრობს.

— თითქმის ორი თვეა, საჯარო მოხელე გახდით. რა შეიცვალა პენიტენციალურ სისტემაში თქვენი მოსვლის შემდეგ?

— თუ პენიტენციალურ სისტემაში დღეს არსებულ ვითარებას 2012 წელთან შევადარებთ, განსხვავება საკმაოდ დიდია. დღეს ყველამ იცის, პატიმრებს ადმინისტრაცია არ სცემს და არ აწამებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა აღარ არსებობს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მსჯავრდებულებმა, რომლებიც 2012 წლამდე ადმინისტრაციასთან ცემა-წამების შიშით მეტნაკლებად თანამშრომლობდნენ, ბერკეტების ხელში ასაღებად სხვადასხვა მეთოდის გამოყენება სცადეს. ციხეებში ე.წ. ქურდული ტრადიციები მხოლოდ იდეოლოგიას არ გულისხმობს. ის დაკავშირებულია სოლიდურ ფულთან, ე.წ. ობშიაკებთან, იძულებით თამაშებსა და სხვა ადამიანების ფიზიკურ წამებასთან.

— ციხეებში ე.წ. ქურდული მენტალიტეტის არსებობას სამინისტროს წინა ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფდა. თქვენ როგორ უმკლავდებით პრობლემას?

— პატიმრების ნაწილს „მაყურებლობა“ მაინცდამაინც ქურდული ტრადიციების დასამკვიდრებლად კი არა, იმის გამო უნდა, სხვა პატიმრების ხარჯზე იცხოვრონ, რასაც არ დავუშვებთ. სერიოზული სტრუქტურული ცვლილებებისთვის ვემზადებით. უახლოეს მომავალში საქართველოს კანონმდებლობაში 38 ცვლილების შეტანა იგეგმება, რათა ეს სისტემა მართვის კუთხითაც ბევრად ეფექტური გახდეს. გარდა ამისა, მსჯავრდებულს ორ გზას შევთავაზებთ. ერთია ავჭალისა და ლაითურის მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, სადაც პატიმრებს პაემნები შეზღუდულად დაუწესდებათ და ამანათებსაც განსაზღვრული რაოდენობით მიიღებენ და მეორე — თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, სადაც პატიმრებს შესაძლებლობა ექნებათ, პროფესიას დაეუფლონ, განათლება მიიღონ, შაბათ-კვირას ოჯახის წევრები მოინახულონ... ასეთი პატიმრების საკითხები შეწყალების კომისიაში პრიორიტეტული იქნება. ასე რომ, რეალურად ვზრუნავთ, მსჯავრდებულს არჩევანი შევთავაზოთ. გლდანის ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ახალი დაწესებულება უკვე გაიხსნა. ახალი წლიდან, მსგავსი, თერჯოლაშიც გაიხსნება. გარდა ამისა, ევროპული სტრანდარტის შესაბამის პრობაციის ბიუროებს ვაყალიბებთ, რომელიც აბსოლუტურად პატიმრების რესოციალიზაციაზე იქნება ორიენტირებული. ეს სიახლეები მხოლოდ არაქურდული ტრადიციების მიმდევარ პატიმრებს შეეხება.

— მთავარ პრობლემას სწორედ „ქურდული მენტალიტეტის“ პატიმრები ქმნიან. გლდანის ტერიტორიაზე გახსნილ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაშიც ამ მენტალიტეტის გამო მხოლოდ 15 პატიმარი გყავთ. „მაყურებლებს“ რას სთავაზობთ?

— იმ პატიმრებისთვის, ვისაც „მაყურებლობა“ უნდა, სპეციალური დაწესებულება გაიხსნება და სასჯელის მოხდამდე ერთმანეთის ყურება მოუწევთ. წინასწარ ვიცით, ეს საკმაოდ დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. პატიმრები უკვე გვემუქრებიან, თუ ავჭალაში ან ლაითურში გადაგვიყვანთ, თვითდაზიანებას მივიყენებთ და მასობრივ შიმშილობას დავიწყებთო. დიახ, გვევაჭრებიან, მაგრამ მყარად ვდგავართ და პოზიციებს არ დავთმობთ. იდეოლოგიებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს...

— პატიმრები რომ ღიად გევაჭრებიან და გემუქრებიან, ეს ნორმალურია?

— რა გითხრათ... სასაკნო რეჟიმზე გადაყვანილი „მაყურებლები“ უკმაყოფილოები არიან და ადმინისტრაციას ღიად ემუქრებიან. როგორც წესი, ამას თავად არ აკეთებენ, სხვა პატიმრებს ავალებენ თავი დაიზიანონ და შიმშილობა დაიწყონ.

— გლდანში ჯაჭვებით გადაბმული მსჯავრდებულების პოვნის შემდეგ, გაჩნდა ეჭვი, რომ ე.წ. ქურდული მენტალიტეტის გარდა, ციხის ადმინისტრაციაშიც მართვის პრობლემებია...

— ამ ყველაფერს ვუმკლავდებით. ხომ გეუბნებით, ყოველდღიური ნერვების ომი მიმდინარეობს... მშენებლობის დასრულებას ველოდებით, რომ ასეთი ადამიანების იზოლირება კანონის ფარგლებში შევძლოთ. იმედია, ახალ წლამდე მკაცრი რეჟიმის ერთი დაწესებულება ამოქმედდება. ლაითურის დაწესებულებას, ალბათ, 2015 წლის დასაწყისში გავხსნით. ეს ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული. მთავრობაც ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე ითვალისწინებს ჩვენ მოთხოვნებს... ეფექტური მართვისთვის რეფორმათა პაკეტიც შევიმუშავეთ, რომელსაც მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ჯერ მთავრობას წარუდგენს, შემდეგ პარლამენტში გადაიგზავნება. ასეთი ფაქტები ყოველთვის მოხდება. კონფლიქტი ციხეში კი არა, ქუჩაში, სანატორიუმებსა და საავადმყოფოებშიც ფიქსირდება. მთავარია, ეს არ დამალო.

— ციხეში ფაქტის დამალვის მცდელობაც დაფიქსირდა, როცა სახალხო დამცველს პატიმრების ადგილსამყოფელთან არ უშვებდნენ.

— დამალვის მცდელობა არ გვქონია. როგორც კი ინციდენტის შესახებ შევიტყვეთ, მასალები უწყებაში არ დავტოვეთ და შემდგომი გამოძიებისთვის პროკურატურაში გადავაგზავნეთ. არასამთავრობო ორგანიზაციაში ყოფნისას, სწორედ ამას ვამბობდი — გამოძიება უწყებაში არ უნდა ჩაიკეტოს. პრობლემები ყოველთვის იქნება, მთავარია, კანონიერი მეთოდებით მასთან ბრძოლის სურვილი გვქონდეს.

— რით დასრულდა ეს საქმე, ვინმე დაისაჯა?

— პროკურატურა იძიებს და შედეგს ველოდებით.

„ქუჩაში მხოლოდ მაშინ გავალთ, მოლაპარაკების რესურსს რომ ამოვწურავთ“

ვისგან მიიღო ვადამდელი არჩევნების დანიშვნის გარანტია ჯონდი ბაღათურიამ

ეროსუდან შელია
557-100-768

არასაპარლამენტო ოპოზიცია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ, პრემიერსა და პრეზიდენტთან საუბარსაც ითხოვს. რას პასუხობენ კულუარებში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს და დაიწყება თუ არა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით მასშტაბური აქციები? „ვერსიას“ პარტია „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.

— არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის ვემზადებით, თუმცა მანამდე გვინდა, საარჩევნო გარემოს რეფორმირება მოვასწროთ.

— ვისგან მიიღეთ ვადამდელი არჩევნების ჩატარების გარანტია, რომ უკვე საარჩევნო კოდექსში რეფორმების მოსწრებაზე საუბრობთ?

— ამ კუთხით სამუშაოები საკმაოდ პროდუქტიულად მიდის და შედეგებითაც კმაყოფილი ვარ. როგორც ოპოზიცია, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებიც თანხმდებიან, რომ საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს და ფეოდალებადქცეული მაჟორიტარების სისტემა გაუქმდეს. მაჟორიტარები რაიონსა და ადგილობრივ მოსახლეობას სისხლს პარაზიტებივით წოვენ! პარლამენტის თავმჯდომარესაც შევხვდით. მან ჩვენი პოზიცია გაიზიარა და მხარდაჭერასაც დაგვპირდა. მართალია, გვითხრა, ეს მხოლოდ პიროვნული და ფრაქციის მხარდაჭერა იყო, მაგრამ ჩვენთვის არც ესაა ცოტა. ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრასაც ვითხოვთ, სადაც უფრო მკვეთრად გამოჩნდება კონტურები, არის თუ არა ხელისუფლება რეფორმებისთვის მზად. ხელისუფლება ცდილობს უარყოს, რომ ვადამდელი არჩევნების საკითხს განიხილავენ, არადა ფაქტია, ქვეყანაში სწრაფად იქმნება ამის საჭიროება. პოლიტიკური კრიზისის არსებობას ხელისუფლებაშიც აცნობიერებენ, ამიტომ ვიცით, რიგგარეშე არჩევნების დაშვებაზე ნაფიქრი აქვთ.

— ამას რის საფუძველზე ამტკიცებთ?

— ფაქტია, უმრავლესობა დაიშალა და ყოფილი ნაციონალების ხარჯზე ძლივს შეაკოწიწეს. თანაც ყოფილი ნაციონალების იმედად ჩემი მტერი იყოს. არ მგონია, ირაკლი ღარიბაშვილი იმდენად გამოუცდელი პოლიტიკოსი იყოს, ყოფილ ნაციონალებს დაეყრდნოს. ეს ადამიანები ისეთივე წარმატებით გადავლენ სხვა ფლანგზე, როგორც „ქართულ ოცნებას“ შეუერთდნენ.

— ვადამდელ არჩევნებს „ქართული ოცნების“ პოზიციების გასამყარებლად ითხოვთ?

— არა, ახალი მყარი ხელისუფლების მოსაყვანად. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მაგრამ 51%-ს ვერ მიიღებს.

— და არასაპარლამენტო ოპოზიციას მხოლოდ იმისთვის აწყობს ვადამდელი არჩევნები, რომ პარლამენტში რამდენიმე დეპუტატი შეიყვანოს?

— გვინდა, დემოკრატიული და პლურალისტური პარლამენტი მივიღოთ. პარლამენტის შემადგენლობა დღეს საზოგადოების პოლიტიკურ განწყობას არ ასახავს. არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, პოლიტიკაზე ზემოქმედების მეტი ბერკეტი გვექნება. კი, ბატონო, შეგვიძლია, ხელისუფლებას ჩავუსაფრდეთ სანამ კისერს არ წაიტეხს, ასე მეტ ამომრჩეველსაც გადმოვქაჩავთ, მაგრამ ქვეყანაში ვითარება აირევა. დღეს ისედაც ყველა სფეროში პატარა ხანძრებია. თუ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, ჩვენ მეორე ადგილზე გავალთ. სავარაუდოდ, ნაციონალური მოძრაობა და ირაკლი ალასანიას გუნდი ბარიერს გადალახავს. იგივე შანსი აქვს პატრიოტთა ალიანსსაც. ისე, თუ „ოცნებაში“ ლიდერები არ შეიცვლება, შესაძლებელია ნაციონალურ მოძრაობასთან დაწყვილდეს.

— „ქართული ოცნების“ რომელი ლიდერი წარმოგიდგენიათ ნაციონალების პოლიტიკურ ლობად?

— ბევრია ასეთი. ირაკლი ღარიბაშვილს არ ვგულისხმობ. ჩანს, ეს ადამიანი ცდილობს დაპირისპირებაში გარკვევას.

— სახელმწიფოებრივად რამდენად გამართლებულია კიდევ ერთი ვადამდელი არჩევნების ჩატარება?

— პირიქით, რყევას დღევანდელი პოლიტიკური კრიზისი გამოიწვევს. ჯერ კიდევ ზაფხულში ვამბობდი, კოალიცია დაიშლება-მეთქი. „ქართული ოცნება“ დღესაც მყიფეა. თითოეული მანდატის პოლიტიკური წონა იმდენად გაიზარდა, ყველა გადაწყვეტილების წინ პარლამენტში ვაჭრობა და აღებ-მიცემობა მიმდინარეობს. ასე მოხდა სულ ცოტა ხნის წინ, როცა უმრავლესობას ისე გაუჭირდა, კობა სუბელიანის ხმა დასჭირდა. ბუნებრივია, სუბელიანისა და ბეჟაშვილის ხმას „ოცნება“ უფასოდ ვერ მიიღებდა.

— რამდენი გადაუხადეს, ისიც იცით?

— შეიძლება, არ გადაუხადეს, მაგრამ რაღაც აპატიეს. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ კითხვები ლოგიკურად ჩნდება. გარწმუნებთ, ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური კრიზისია.

— გაქვთ მექანიზმი, რითაც ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნას აიძულებთ?

— თუ ხელისუფლებასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა, ქუჩაში გამოსვლა ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა, თუმცა ჯერჯერობით, დიალოგს ვამჯობინებთ. დღეს ქვების სროლა რომ დავიწყოთ, გვეტყვიან — ან გველაპარაკეთ ან ქუჩაში იდექითო. ამიტომ ქუჩაში მხოლოდ მაშინ გავალთ, როცა მოლაპარაკებისთვის ყველა რესურსს ამოვწურავთ.

— ასე იმუქრებოდით ზაფხულშიც და შემოდგომისთვის მასშტაბურ აქციებს აანონსებდით. ახლა ვადა გაზაფხულამდე გადაწიეთ?

— ულტიმატუმის ენით არ ვსაუბრობთ, მაგრამ დიახ, დრო საკმაოდ ცოტა დარჩა. ხვალ კოალიცია კიდევ ერთმა პარტიამ რომ დატოვოს, ფაქტის წინაშე დავდგებით და სამ თვეში არჩევნების ჩატარება მოგვიწევს. დღეს ვადებს ხალხი და პოლიტიკური მოცემულობა გვაძლევს. საზოგადოებაში ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა დიდია და მომავალში უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

საყდრისი პოლიტიკურ ჭრილში – აფინანსებდა თუ არა ნაციონალური მოძრაობა კომიტეტს

ლაშა დვალი

საყდრისის საბადო კვლავ განსჯის საგნად რჩება — საბადოს დაცვის კომიტეტის წევრმა, ირაკლი მამალაძემ მის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე პატრიოტთა ალიანსი და მისი ლიდერი ირმა ინაშვილი ღიად დაადანაშაულა მხარდამჭერთა დაკარგვაში. „ვერსიასთან“ საუბრისას ირაკლი მამალაძემ აღნიშნა, რომ კობა ნაყოფიასთან კონსულტაციები ჰქონდა, თუმცა დაფინანსების საკითხზე საუბრისგან თავი შეიკავა. „ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, არ ვიცი, ვინ ვის აფინანსებდა, მაშინ ნაყოფია იყო ბოლნისის მაჟორიტარი და ამიტომ მასთან გვქონდა ამ თემაზე საუბარი“, — განაცხადა მამალაძემ, თუმცა მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს კატეგორიულად უარყოფენ კომიტეტის დანარჩენი წევრები. დათო გულბანი, ანა მიქაუტაძე და ნინო ბურჭულაძე ამბობენ, რომ კობა ნაყოფიას არათუ არასოდეს შეხვედრიან, რაიმე დაფინანსებაზეც კი საუბარი ზედმეტია.

ნინო ბურჭულაძე, კომიტეტის წევრი:

— ძალიან გთხოვთ, ხელოვნურად ნუ ააგორებთ ამ ამბავს, საერთოდ არ ვიცი, როდის შეხვდა ირაკლი მამალაძე ნაყოფიას. ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ის, რომ ჩვენ, ის ძირითადი რამდენიმე ადამიანი, ვინც დღეს ვაქტიურობთ, ნამდვილად არ შევხვედრივართ ნაყოფიას და არც რაიმე დაფინანსება მიგვიღია;

— თქვენ გქონდათ ინფორმაცია, ირაკლი მამალაძის მიერ გამართული პრესკონფერენციის შესახებ?

— რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო, მაგრამ თუ მამალაძე ასეთ განცხადებას გააკეთებდა, ვერ წარმოვიდგენდი. თავად ამტკიცებს, რომ მსგავსი არაფერი უთქვამს. მეც ძალიან მაინტერესებს, სად ვის და როდის შეხვდა, დადოს სახელები და გვარები. რა და როგორ იყო, გვითხრას. ყველამ იცის, ჩვენ ყველაფერს საკუთარი ხარჯებით ვაკეთებდით, რა დაფინანსებაზეა საუბარი, საერთოდ არ მესმის

თავად ჟურნალისტი ვარ და კობა ნაყოფიაზე არცთუ ისე კარგი მაქვს დაწერილი თავის დროზე. ახლაც ასე ვფიქრობ, რომ მისი ბრალიც არის, რაც მოხდა და როგორ ფიქრობთ, შევხვდებოდი?

— გასაგებია, მაგრამ მამალაძეც ხომ კომიტეტის წევრია?

— გეტყვით, რომ კომიტეტი არ არის ერთიანი ორგანიზაცია, ეს არის რამდენიმე ადამიანის გაერთიანება. თუმცა ჩვენ აუცილებლად გავარკვევთ ამ შეხვედრის დეტალებს. ამ წუთებში საბადოზე ვიმყოფებით, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს.

— პატრიოტთა ალიანსი ამ პროცესებში მონაწილეობს?

— ამჟამად ისინი ჩვენთან არ არიან, მაგრამ ვიცით, რომ ირმა ინაშვილი მართავს შეხვედრებს და, ვფიქრობ, იგი თავის პოზიციას აუცილებლად დაიცავს.

ბურჭულაძის პოზიციას იზიარებენ დათო გულბანი და ანა მიქაუტაძეც, მათი განცხადებით, ეს ბრალდება აბსურდულია და დაფინანსება არავისგან მიუღიათ;

ანა მიქაუტაძე, კომიტეტის წევრი:

— საიდან მოიტანეს ასეთი რამ, მაშინ დადონ ფაქტები. ეს უკვე ცილისწამებაა. ჩვენ კომიტეტს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ვიბრძოდით, რამენაირად გადაგვერჩინა ძეგლი, ყველა პარტიასთან გვქონდა კონსულტაციები და მხარდაჭერას ვთხოვდით. მაშინ არც ნაციონალური მოძრაობა და არც „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები მხარდაჭერას არ გვიცხადებდნენ. პირადად მე, რამდენჯერ ჩამიტანია ჩემი ფულით საკვები. დაფინანსებას კატეგორიულად გამოვრიცხავ. არასოდეს გვინახავს კობა ნაყოფია. ეს იმდენად აბსურდული ბრალდებაა, თავად მამალაძეც გაკვირვებულია, ასეთი რამ არ მითქვამსო.

როგორც ხედავთ, კომიტეტის წევრები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კომიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის და შიდადაპირისპირება მწვავდება. განსხვავებული მოსაზრებები აქვთ პატრიოტთა ალიანსის შესახებაც. მამალაძემ პრესკონფერენცია იმაზე საუბრით დაიწყო, თუ როგორ დაკარგა ირმა ინაშვილის გამო კომიტეტმა მხარდამჭერები, შემდეგ პატრიოტთა ალიანსის ლიდერს სიტყვის შესრულება მოსთხოვა, კერძოდ, იმის, რომ ინაშვილს კულტურის მინისტრი საკუთარი კაბინეტიდან „გამოეთრია“. ამის საპირისპიროდ კომიტეტის დანარჩენი წევრები ამბობენ, რომ პატრიოტთა ალიანსი საყდრისს კვლავაც იცავს.

„ირმა ინაშვილსა და ნინო მიქიაშვილს ჩემი მოწოდება არ სჭირდებათ, ისინი ისედაც იცავენ საყდრისს“, — განაცხადა დათო გულბანმა ჩვენთან საუბრისას.

ნინო მიქიაშვილმა კი საერთოდ თავი შეიკავა კომენტარისაგან, ჯერ აღნიშნა, რომ ეს თემა აღარ აინტერესებს, რადგან საყდრისი აღარ არსებობს, თუმცა შემდეგ რამდენიმე სიტყვით ცილისწამებლებს მიმართა:

— ვის აინტერესებს ახლა, ვინ რა და როგორ თქვა?! თუ სადმე რამე კრიმინალია ჩადენილი, სასამართლო აქ არის, პროკურატურა აქ არის და მათ უნდა გაარკვიონ. სხვას არაფერს ვიტყვი, ეს თემა საერთოდ აღარ მაინტერესებს, საყდრისი აღარ არსებობს და რა აზრი აქვს იმის გარკვევას, ვინ რა თქვა?! ცილისმწამებლებს კი მინდა ვუთხრა, რომ ეს არავის შერჩება!“

დაფინანსების შესახებ დასმულ კითხვასა და კობა ნაყოფიას სახელის გაჟღერებას კი მიქიაშვილი ასე გამოეხმაურა:

— საერთოდ არ ვიცი, რა დაფინანსებაზე მეკითხებით. მე ჩემს პირად გვერდზე ვაქვეყნებ შემოწირულობებს და მერე „ობიექტივშიც“ ვამბობ ხოლმე, ირმა ინაშვილი კი ჩემი მეგობარია, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ვართ თანამებრძოლები და ვარ მისი გულშემატკივარი.

რაც შეეხება ირმა ინაშვილის პოზიციას, „ვერსია“ მას ევროპაში დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ საყდრისთან დაკავშირებული პოზიცია სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე უკვე გამოაქვეყნა და ეს არის მისი პოზიცია. ირმა ინაშვილი წერს, რომ „გააქტიურდნენ ჯგუფები და ადამიანები, რომლებიც უტიფრად აცხადებენ, რომ თურმე... არც მეტი და არც ნაკლები, მე და ნინო მიქიაშვილს დაგვინგრევია საყდრისი. აი, ამ ერთუჯრედიანების მოსაზრებებზე რა კომენტარი უნდა გააკეთოს საღადმოაზროვნე კაცმა. ეს ცილისწამებაც არაა. უბრალოდ, კრეტინიზმია, მაგრამ ერთს კი გეტყვით, დაისჯებიან არა მარტო საყდრისის ჯალათები, არამედ ის ფსევდომცველებიც, რომლებიც ამ სიბინძურეში მონაწილეობენ“.

მამალაძის მიერ ნაყოფიას სახელის გაჟღერებამ კომიტეტის წევრებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ჩვენთან საუბრის შემდეგ მათ აღნიშნეს, რომ ამ თემაზე სპეციალურ განცხადებას გააკეთებენ. საყდრისი უკვე პოლიტიკური ინტერესების ობიექტად იქცა. გასარკვევია, როდემდე გაგრძელდება პროცესი, თუმცა, როგორც ჩანს, მომავალში კიდევ ბევრი უცნობი ფაქტი ამოტივტივდება.

შსს-ს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას 102-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ

შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის ინიციატივით დაწყებული, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სოციალური კამპანია გრძელდება.

კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა ამჯერად 102-ე საჯარო სკოლაში გაიმართა.

მოსწავლეებს სპეციალურად შექმნილი, შსს-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრები: შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორი ოთარ ჯავახაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ეკატერინე დგებუაძე და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ წარმომადგენელი რუსუდან ბაიდურაშვილი კამპანიის შესახებ ესაუბრნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა მოსწავლეებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანიის მიზანი და მნიშვნელობა გააცნეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესული ცვლილებების შესახებ ისაუბრეს. 2013 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა თავისუფლების 1 წლამდე აღკვეთით ისჯება.

შეხვედრაზე მოსწავლეებს კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლები უჩვენეს და განუმარტეს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე: „112“ ან მიმართონ უბნის ინსპექტორს. მოზარდებმა დასვეს არაერთი საინტერესო შეკითხვა, რომელზეც სამუშაო ჯგუფის წევრებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ. ამ პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია საზოგადოების ჯერ ინფორმირება და შემდეგ მათი ჩართულობა. კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით საზოგადოება ნათლად გააცნობიერებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები პასუხს კანონით აგებენ.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები ინტენსიურად გაგრძელდება თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, სხვადასხვა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში.

„ვერსიანიუსი“

ქრთამის აღების ფაქტზე „პერმესის“ ერთ-ერთი თანამშრომელი დააკავეს

გამოძიებით დადგინდა, რომ მურმან ჩ-მ ერთ-ერთ მოქალაქეს სახელმწიფო საკუთრებში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონოდ გადაცემის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 2 000 ლარი გამოართვა.

დანაშაულებრივ ფაქტზე საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც თავისუფლების 6-დან 9 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

„მათ კონცერტებს საქართველოში აღარ გავაკეთებ... ომში დაღუპული ბიჭების გვამებს გადაუარეს!“

რატომ აღარ ემეგობრება შვიდის ნათლიას და რა შემთხვევაში დატოვებს საქართველოს დათო ოქიტაშვილი

თამარ ლომსაძე, 568-34-44-94

საშობლოდან „როძინამდე“

როცა იურმალაში გულზე პერანგს შემოიხევ, პირჯვარს გადაიწერ და საქართველოს დროშას ააფრიალებ, ან როდესაც საკუთარი ვარსკვლავის გახსნაზე „ჰერიო ბიჭებოს“ აცრემლებული შეასრულებ, ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ ოკუპანტისკენ გადადგმულ ერთ შემხვედრ ნაბიჯსაც კი არ გაპატიებს ხალხი, რომელსაც ველიკაია დერჟავამ გენოფონდი გაუნადგურა, ტერიტორიები წაართვა, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა... რამდენად ჰქონდათ სოსო პავლიაშვილსა და თამარ გვერდწითელს მორალური უფლება, ემღერათ — „მე ვლოცულობ შენთვის, ჩემო ამაყო, ჩემო ძლიერო რუსეთო“? — არ ჰქონდათ! და თუ ამაში, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელს ვერაფერს ხედავენ, მაშინ მათი პათოსი მხოლოდ ფარსი ყოფილა და სხვა არაფერი! შესაძლოა, ტენდენციური ვარ, მაგრამ წარმოუდგენელია, ერთ დღეს საკუთარ ქვეყანას უმღერდე, გულში მჯიღს იცემდე და მეორე წუთას, ოკუპანტს ეგებოდე ფეხქვეშ. „ვერსია“ კულტურის პალატის პრეზიდენტს, დათო ოქიტაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც თავის დროზე, თბილისში სერგეი ბეზრუკოვის კონცერტი იმ მოტივით ჩაშალა, რომ ამ უკანასკნელმა მხარი ყირიმის ოკუპაციას დაუჭირა. საინტერესოა, რას ფიქრობს ოქიტაშვილი, როდესაც რუსეთს მისი მეგობრები ასე გულანთებულები უმღერიან.

— ჩემთვის სოსოზე საუბარი ძალიან რთულია, იმიტომ რომ ჩემი უფროსი ქალიშვილის ნათლიაა, მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია — მიუღებელი იყო ის სიმღერა, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა სოციალურ ქსელში... ერთი რამ ვიცი — როცა საქართველოსა და რუსეთს შორის ასეთი დამოკიდებულებაა, ათასობით ადამიანი საკუთარ მიწა-წყალს, სახლკარსაა მოწყვეტილი და წლები სახლში დაბრუნებას ელის, მათთვის ასეთი ნაბიჯები თანამემამულეებისგან ბევრად მტკივნეულია.

მხოლოდ ის არ მესმის, რატომ აკეთებენ აქცენტს მხოლოდ სოსოზე, ეს დუეტია თამარ გვერდწითელთან. მათგან არც მიკვირს, რადგან რუსეთის მოქალაქეები არიან, წლებია იქ ცხოვრობენ. იმედია, სოსო ჩემ სიტყვებს სწორად გაიგებს — მის არჩევანს არ ვამართლებ! ვინც მიცნობს, ჩემი დამოკიდებულება არავის გაუკვირდება. ვინც გინდა იყოს, თუნდაც საკუთარი ძმა, თუ სამშობლოს წინააღმდეგ წავა, ჩემთვის აღარ იარსებებს და, დიახ, ამ სიმღერით, სოსო პავლიაშვილმა და თამარ გვერდწითელმა ომში დაღუპული ბიჭების გვამებს გადაუარეს და მათი საფლავები გადათელეს!

— თქვენ არ ამბობდით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ხელოვანი ადამიანების საშუალებით უნდა დალაგდესო? არადა, სერგეი ბეზრუკოვის კონცერტი ჩაშალეთ. ამ ლოგიკით, აღარც გვერდწითელის კონცერტი უნდა გააკეთოთ ან პავლიაშვილის, არა?

— ჩავშალე და ჩავშლი ყოველთვის. პავლიაშვილისა და გვერდწითელის კონცერტებსაც საქართველოში აღარ გავაკეთებ. ამის სურვილი არ მაქვს. არც შევხმიანებივარ და არც ვაპირებ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს თავიანთი რუსეთი და თავიანთი მდელოები. მათ გარეშეც ვიცით, რომ რუსეთი დიდია, მაგრამ მირჩევნია, პატარა მინდორ-ველში ვიარო ამაყად, ვიდრე დიდ რუსეთში თავწახრილმა. ურთიერთობები კი, აუცილებლად დალაგდება, ოღონდ კალიებივით კი არ უნდა უმღერდნენ ხან ერთ მთავრობას და ხან მეორეს. საკუთარი „მე“ არასოდეს უნდა დაკარგო.

— თქვენი მეგობარია ორივე, გვერდწითელს ვარსკვლავიც გაუხსენით... არ იცოდით მათი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?

— კი ბატონო, ვმეგობრობდით, მაგრამ არის ზღვარი, რასაც არასოდეს გადავაბიჯებ — ჩემთვის პირველ რიგში სამშობლოა და ეს არ არის ტრაფარეტული სიტყვები. თბილისობაზე ერთი ამბავი რომ ატყდა, 2-3 მილიონს მთავაზობდნენ, რუსეთში ესა თუ ის ღონისძიება რომ ჩამეტარებინა, მაგრამ ამის უფლებას საკუთარ თავს არ მივცემდი. არავის ვათქმევინებ ჩემი შვილებისთვის, რომ გარეწარი მამა ჰყავთ! ყველაფერი ფული და თანამდებობა არ არის, სულ სკამზე ვერ იჯდები. ხალხისთვის საყვარელი და მისაღები მაშინ ხარ, როცა მას უმღერ და არა რომელიმე ხელისუფლებას...

ამიტომაც დაილუპა ეს სფერო წინა მთავრობისას. მათ მოსპეს ქართული კულტურა და ის მაოცებს, რომ ხალხი, რომელიც მაშინ ბლოკავდა მომღერლებს, შავ სიებსაც ადგენდა, დღესაც მუშაობს კულტურის სამინისტროში. როგორ შეიძლება, სოფო აბულაძე კულტურული ღონისძიებების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყოს, როცა მან წამართვა ვარსკვლავები და ამით ერთობოდა?! ეს ადამიანი დღემდე ნაციონალური მოძრაობის მომხრეა, მათ ყველა ყრილობასა თუ აქციას ესწრება და მოუთმენლად ელის, მიშა როდის დაბრუნდება ხელისუფლებაში თეთრ ცხენზე ამხედრებული. მითხარით, როგორ შეიძლება, ასეთი ადამიანი ნორმალურად ემსახუროს ქართულ კულტურასა და სამინისტროს. მათ ფონზე, ნინა წკრიალაშვილს მეტად ვაფასებ.

— რა მოგსვლიათ, ნინა წკრიალაშვილის ღირსებებზე ალაპარაკდით?

— ნაციონალების მომღერლებში იგი ყველაზე ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა იმიტომ, რომ კულტურის სამინისტროდან არავის გაუგდია. თქვა, ეს ხელისუფლება ჩემთვის მიუღებელიაო, დაწერა განცხადება და წამოვიდა. ესაა ღირსეული დამოკიდებულება, თორემ ნინა წკრიალაშვილი ვინ არის, რას წარმოადგენს და ვისზე რას ამბობს, სხვა საკითხია. სოფო აბულაძე და მისნაირები კი სხედან თბილად და ახლაც წყვეტენ, ვინ იმღეროს, ვინ არა.

მიშა გიორგაძე ჩემი მეგობარია, არ მინდა, გაზეთიდან ველაპარაკო. უბრალოდ სათქმელი უნდა ითქვას! ამას პირველად ვაცხადებ — როგორ შეიძლება, კულტურის სამინისტროში მუშაობდნენ ისეთი ადამიანები რომლებიც სააკაშვილის დაბრუნებას ელოდებიან და ამბობენ, თქვე უბედურებო, ჩვენი დროც მოვაო. მივმართავ კულტურის მინისტრს — კარგად გადახედოს კადრებს და დაინახავს, რომ სამინისტროში ნაცბანდაა, რომელიც ანგრევს ქართულ კულტურას და ეს მისთვისაა ცუდი, თორემ მე არავის ვებრძვი.

— არადა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედაც ებრძვით. მით უმეტეს, ამბობენ, ოქიტაშვილს ძველ თანამდებობაზე დაბრუნება შესთავაზეს და მერე გადააგდესო...

— არავითარ შემთხვევაში! მსგავსი არაფერი ყოფილა. ვარ საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი და ბედნიერი ვარ, რომ საყვარელი საქმის კეთების საშუალება მომეცა.

— რა დამსახურებისთვის, დათო, ძველი მთავრობის ლანძღვისა და ახლანდელ მთავრობასთან მეგობრობისთვის?

— არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. კულტურის სამინისტროდან იმიტომ გამომაგდეს, რომ ჩემი მეგობარი ზურაბ ჟვანია იყო, მისი მეუღლე კი ჩემი უმცროსი შვილის ნათლიაა. დღეს თუ რამეს წარმოვადგენ, ზურას დამსახურებაა და ეს არასოდეს დამიმალავს. ეს ვერ აიტანა წინა ხელისუფლებამ, თორემ მე უბედნიერესი ვარ, რომ გამომაგდეს — მუშაობა რომ გამეგრძელებინა, დღეს საქართველოში ვერ ვიცხოვრებდი... ჩამკეტეს ფარეხში, მცემეს, ლამის მომკლეს, მაგრამ გადავრჩი. თანამდებობისთვის კი არასოდეს მიბრძოლია იმიტომ, რომ ეს არ მჭირდება. ძალიან ბევრი ვიმუშავე მთავრობაში და აღარ არის ჩემი ყოფნა საჭირო. არ ვმალავ — დამირეკეს და საკუთარი აზრიც დავაფიქსირე დღევანდელ კულტურის მინისტრსა და მის გუნდზე, რჩევასაც მეკითხებიან, ყველაზე მეტად კი, იცით, რა მახარებს? — ქუჩაში რომ გავდივარ და ხალხი არ მაფურთხებს! მე ბევრი რამ გავაკეთე, თუ დავჭირდი, დავეხმარები, მნიშვნელობა არ აქვს, სამინისტროში ვიქნები თუ კულტურის პალატაში... სხვათა შორის, მაპატიოს ყველამ, კულტურის პალატა ბევრად მეტ საქმეს აკეთებს ამ მიმართულებით, ვიდრე სხვა სტრუქტურები. უბედნიერესი ვარ, რომ სწორედ ჩვენ ვაწყობთ პატრიარქის დაბადების დღისადმი ღონისძიებას, ნანი ბრეგვაძე კი კონცერტს მიუძღვნის.

— ის ნანი ბრეგვაძე, რომელიც წლები რუსეთში მოღვაწეობდა, არა?

— ... მაგრამ ნანი ნანია და მას არასოდეს უმღერია — „შირაკა სტრანა მაია რადნაია“...

— მაინც რას აკეთებს კულტურის პალატა, როცა ამბობენ, რომ ვითარება დიდად არ შეცვლილა და ახლაც იბლოკებიან მომღერლები.

— თავისუფალი ადამიანი ვარ და, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ — შარშან ვესწრებოდი 26 მაისის ღონისძიების თათბირს და იქ ითქვა — დავივიწყოთ მანკიერი პრაქტიკა, ყველას მივცეთ საშუალება, იმღეროსო. ეს საკუთარი ყურით მოვისმინე და მართალიცაა — მომღერალმა ხელისუფლებას არ უნდა უმღეროს. თუმცა ასეთ ფონს ის ადამიანები ქმნიან, ვინც თბილადაა მოკალათებული კულტურის სამინისტროში და ამიტომ კულტურის სამინისტროს ნაციონალური მოძრაობის შტაბბინა დავარქვი. მათ ხელში მეცოდება კულტურის მინისტრიცა და მისი გუნდიც. რეორგანიზაციაა საჭირო, თორემ ასეთ ხალხთან მათ ურთიერთობა გაუჭირდებათ. ანდაც, წავიდნენ ეს აბულაძეები საქართველოდან. უკრაინის კულტურის სამინისტროში იმუშაონ დიდმა რეფორმატორებმა, სწორედ მათ გამო ხდება ბევრი გაუგებრობა და ისეთ ფონს ქმნიან, თითქოს ვიღაც იბლოკება.

— ამტკიცებთ, რომ არავინ იბლოკება, არადა სოციალურ ქსელშიც არაერთი მსგავსი ინფორმაცია ვრცელდება.

— აქ ერთი ნიუანსია — როდესაც თბილისში კი არა, რეგიონებში სიმღერას სთავაზობენ, არ მოსწონთ, ღიზიანდებიან. არ ესმით, რატომ უნდა იმღერონ ვთქვათ თელავში და არა თბილისში — ესაა პრობლემა. არადა, ყველაფერი თბილისში ხომ არ მოხდება?

— კულტურის მინისტრმა, როგორც ურჩევთ, კადრებს რომ გადახედოს, ეს სამსახურიდან მათი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება არ იქნება?

— წინააღმდეგი ვარ, ადამიანი უკანონოდ სამსახურს რომ ტოვებს, მაგრამ როცა მთელმა ქვეყანამ იცის აბულაძის განწყობა... შედით, მის აცებოოკ-ზე, ნახეთ, რას წერს... როგორ შეიძლება, ასეთმა ადამიანმა ამ მთავრობისთვის კარგი გააკეთოს? მაინტერესებს, ვსვამ კითხვას — ვინ მფარველობს ამ ქალბატონს, რომელიც დღეს კულტურის სამინისტროში პრინცესაა და საერთოდ არ იცის, რა არის ქართული კულტურა.

— თქვენ არ იცით, ვინ მფარველობს?

— არა, არ ვიცი.

მასაც და მისნაირებსაც ვეუბნები — როგორც ბებიაჩემი არ დაბრუნდება იმქვეყნიდან, ისე ვერ დაბრუნდება ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში. და თუ მაინც ასე მოხდა, მე ამ ქვეყანას დავტოვებ...

ვერსიანიუსი

საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით შემოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქრო ამოიღეს



შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, მალულად გადმოტანის ფაქტზე 1940 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე ნაზიკო შ. ამხილა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალბატონმა სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, საბაჟო კონტროლის გვერდისავლით, მალულად თურქეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობები, საერთო წონით — 510,64 გრამი. მათი საბაზრო ღირებულება 35 592 ლარია. გამოძიებას, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო, დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლის გვერდისავლით, მალულად გადმოტანის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

უაზალი ძმების „ალიარებითი ჩვენება“

რატომ დააქერინა დედამ შვილები პოლიციას და რატომ დააბრალეს ბიჭებს 72 წლის მოხუცის გაუპატიურება

პატიმარი №0578

სამართალდამცავები ამბობენ, რომ გაუხსნელი საქმე არ არსებობს. პატიმრებს თუ ჰკითხავთ, არის საქმეები, რომლებიც უბრალოდ არ იხსნება, რადგან ის ერთმა კონკრეტულმა ადამიანმა ჩაიდინა, არავის უთხრა და საიდუმლოს სამარეში ჩაიტანს. ზონაზე ისეც ხდება, რომ პატიმრის მონათხრობი, სამართალდამცავთა ყურამდე მიდის და გამოუძიებელი, თაროზე შემოდებული საქმე იხსნება. პატიმრები არც იმას მალავენ, რომ ჩაშვების ინსტიტუტი კარგად მუშაობს და ხშირად, თავის გადარჩენის მიზნით, ერთმანეთს არ ინდობენ. თავისუფლებაზე კი... იშვიათია შემთხვევა, როცა ოჯახის წევრი გწირავს, თუმცა ასეთებიც ხდება. ეს ყველაზე მტკივნეულია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახის წევრი ამ ნაბიჯზე შეგნებულად მიდის.

დათო და ნუგზარი მშობლების ნებიერა შვილები იყვნენ. მამა არაფერს აკლებდა, დედა კი ბიჭებს თან იყო გადაყოლილი. ყველაფერი მაშინ აირია, როცა ოჯახის უფროსი ავარიაში დაიღუპა. ოჯახის ტვირთის ზიდვა ქალბატონმა ნანამ გადაწყვიტა. სამუშაოდ გავიდა, მაგრამ მალე მოყინულ გზაზე ფეხი მოუცურდა, მენჯის ძვალი მოიტეხა, ექიმებმა კი, სასტიკი დიაგნოზიც დაუსვეს — ქალბატონი ნანა, ნორმალურად სიარულს ვეღარასდროს შეძლებდა. ამ ამბიდან ზუსტად ორ წელიწადში სასამართლომ დათოს და ნუგზარს 20-20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ისინი ჯერ გლდანში, შემდეგ რუსთავის 17 დაწესებულებაში მოხვდნენ.

„ამათ რა უნდა ელაპარაკო, დედამ გაწირა და ახლა კაიბიჭობაზე დებენ თავს“, — პატიმარი 0578 ამ საუბარს მაშინ შეესწრო, როცა დათო და ნუგზარი თბილისის რეგიონის მაყურებელზე იწევდნენ. დარტყმა უკვე მოესწროთ, მაგრამ მაყურებელი ზონის პალაჟენეცთან წასვლას არ აპირებდა. დედის ხსენებაზე ბიჭები სულ გადაირივნენ, დასაბმელები გახდნენ და სანამ ნახევარი ზონა არ ჩაერია, ვერავინ დააშოშმინა. მეორე დღეს პალაჟენეცის კამერაში ყველაფერი მარტივად გადაწყდა — თბილისის რეგიონის მაყურებელს სტატუსი ჩამოართვეს, არც შემოლაწუნება დაამადლეს და რეგიონის „ობშიაკი“ დათოს ჩააბარეს. ამ ყველაფერს პატიმარი 0578 ღიმილით შეხვდა, საღამოს კი ნუგზარს მშვიდად უთხრა: „თუ მაყურებლობა უნდოდა შენ ძმას, ისე ეჩალიჩა, იმ კაცს რას ერჩოდა“. ნუგზარმა ამრეზით შეხედა, ამ თემაზე ხვალ პალაჟენეცთან ვილაპარაკებთო, მიუგდო და გაშორდა. მეორე დღეს პალაჟენეცის კამერაში 0578 ჩავიდა.

„შენ ხომ შემიკიკინე, რა. ვიღაცას რაღაცას ეტყვი, ააგდებ, მოდიან მერე ჩემთან და შენი პრადვინუტი ბაზრით აგიჟებ. დაგვანებე თავი კაიბიჭებს, ძმაო, რას ერევი, რა გინდა“, — ღიმილით უთხრა პალაჟენეცმა.

„მე არ ვიცი, ეს ვინ არის. აქ ვხედავ ხოლმე, პეხოტაა, მგონი და ამისგან შენიშვნას არ მივიღებ. ახსნას რაც გუშინ მითხრა, თორემ დავაყენებ და დილამდე ვუტყაპუნებ“, — ხმამაღლა თქვა ნუგზარმა.

„ჯერ ერთი, პეხოტა ვარ თუ არტილერია, შენ არ გაქვს უფლება, გადაწყვიტო, რა შემიძლია და რა არა. მეორეც, რაც გუშინ გითხარი, თუ გინდა ბოლომდე ჩავყვეთ. თბილისის მაყურებელს დავუძახოთ, ყოფილს, რა თქმა უნდა, საიდან დაიწყო გუშინდელი თემა, ეგ განვავრცოთ და იმ პასუხამდე მივალთ, რომ შენმა ძამიკომ შეგნებულად წამოაგო პროვოკაციაზე. არ დამიწყო ახლა, შემთხვევით მოხდა ყველაფერიო, თორემ ბოლომდე მივყვები იცოდე“, — გაეღიმა 0578-ს.

პალაჟენეცი მოიღუშა, ჯერ ნუგზარს შეხედა, მერე დათოს, ბოლოს ისევ 0578-ს და ჩუმად თქვა: „გისმენთ“.

„ადრეც გითხარი, თბილისის მაყურებელი დეგენერატია და შეცვალე, თორემ ვინმე შაში-ბეშივით გაგიგორებს-მეთქი. გუშინ ამ ყმაწვილმა რეგიონიდან სიგარეტის ვალად აღება მოინდომა. ერთი ბლოკი მოსთხოვა. იმან კი გამოკითხა, რად გინდა და რისთვისო. კაიბიჭებს ამ კითხვებს არ უსვამენ. მიქვს, მომტანია, თუ არა და პრაშაი კაიბიჭობა. ამან მაშინვე დაუსერიოზულა, რატომ მეკითხებიო. შეყვნენ ამ ამბავს და საბოლოოდ, მოაცურეს ის შენი კადრი. ახლა მე ვეკითხები, ამას გუშინ თამაში არ ჰქონია, სიგარეტს არ ეწევა, რად უნდოდა ის ერთი ბლოკი?! წამოკიდება უნდოდა, ერთ დღეს დაუგვიანებდა, ან კამერაში მიუტანდა და ისე დადებდა, იმას არ დაენახა, მერე რომ მოსთხოვდა, ეს აქეთ გაუხურებდა, რა ობშიაკის მაყურებელი ხარ, თუ არ ითვლიო... ეგ არის, რა, მარტივად და ხარისხიანად“, — ღიმილით დაასრულა 0578-მა.

„არ ვიცი, ეგ მართალია თუ არა, მაგრამ ის ვიცი, რომ ძველი მაყურებელი არასწორად მოიქცა. დანარჩენი მკიდია. ისე, რად გინდოდა ის ერთი ბლოკი?“ — ახლა დათოს მიუბრუნდა პალაჟენეცი.

„რად მინდოდა და... მოწევა მინდა დავიწყო“, — თქვა დათომ და ამ სისულელეზე თავადვე გაეცინა.

„კარგი, მიხედე საქმეს და დამიჯერე, ამ კაცის გაბრაზებას არ გირჩევ, სხვანაირად უმუშავებს ტვინი. კაიბიჭი რომ არ არის, არ ნიშნავს, რომ ვერ აზროვნებს. ქურდულს დიროლივით ღეჭავს და ნებისმიერს გაგეჯიბრებათ“, — თქვა პალაჟენეცმა და კამერაც დაიცალა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, დათო 0578-ის საკანში მივიდა და რაღაც რჩევა ჰკითხა. მერე კიდევ და საბოლოოდ ისე გამოვიდა, დათო მის გარეშე ნაბიჯს აღარ დგამდა. მალე ნუგზარიც შეეჩვია 0578-ის საკანს და ორ თვეში სამეულს სულ ერთად ხედავდნენ. ერთ დღეს კი, როცა ბიჭები ჩაის სვამდნენ, 0578-მა ძალიან ფრთხილად დაიწყო: „თუ გინდათ, არ მითხრათ, მაგრამ თქვენზე ათას რამეს ჰყვებიან. ის ფრაზა, იმ დღეს რომ ისროლეს, დედამ გაწირაო, პირველად არ მოვისმინე. შეგიძლიათ მითხრათ, რა მოხდა რეალურად?!“

დათომ ნუგზარს გახედა, მერე მოიღუშა და დაიწყო: „არაფერია მოსაყოლი. დედაჩვენი მოატყუეს. სულ ეგ იყო. მამა რომ დაიღუპა და დედა დაინვალიდდა, ულუკმაპურად დავრჩით. 48 ლარს აძლევდნენ ინვალიდობისას. რა უნდა გვექნა?! ჯერ აკუმულატორების მოპარვა დავიწყეთ, მერე ბინების ქურდობაზე გადავედით, ბოლოს ყაჩაღობაზე. ერთ დღეს, პეკინზე კამერებმა დაგვაფიქსირეს. პოლიცია სახლში დაგვადგა და პაბეგი ავწიეთ. პაბეგში რა, თბილისში ვიყავით, მაგრამ ხიფათს ვერიდებოდით. ყაჩაღობას არ შევეშვით და პოლიცია გაწამებული იყო. კი გვხედავ, ორივე შავგვრემანი და გაბურძგნული ვართ, ადვილად გვცნობდა ყველა და იმდენად გაბაზრებული იყო ჩვენი პონტი, ნიღბებსაც აღარ ვიკეთებდით. დედას ფულს ვუგზავნიდით, მაგრამ მუდმივად გვითვლიდა, მნახეთ, მნახეთო. რამდენჯერმე მართლაც ვნახეთ სახლში. ვერ ივარაუდა პოლიციამ, რომ ასეთ თავხედობაზე შეგვეძლო წასვლა. მერე ვიღაცამ გაგვიბაზრა, სახლში დადიანო და პოლიციამ დედის დამუშავება დაიწყო. ჩვენ არაფერი ვიცოდით და უთხრეს, მათი ადგილსამყოფელი ვიცით, შეიარაღებულნი არიან და არ გვინდა დავხოცოთ, ამიტომ, სახლში მოიყვანე, აქ ავიყვანთო... საიდან უნდა გვეფიქრა, რომ დედა ამას დათანხმდებოდა?! უთხრეს, ერთს არ დავიჭერთ, თავისუფლებაზე დარჩება, მეორეს კი მხოლოდ ორ წელს ვაკმარებთ და ექვს თვეში გამოვუშვებთო... სახლში რომ მივედით, წვნიანი დაგვისხა, თქვენთვის მოვამზადეო. დედის ხელით მომზადებულ საკვებს სხვა გემო აქვს, მონატრებულები ვიყავით... მერე აღარ მახსოვს რა მოხდა. რომ გავიღვიძე, კაპეზეზე მაგარი ნაცემი ვიყავი. თურმე დაგვაძინეს და როცა ასაყვანად მოვიდნენ, გათიშულები დედაჩვენის თვალწინ გვცემეს. იმას ინფარქტმა დაარტყა, მაგრამ გადარჩა. ხელ-ფეხი აქვს გაშეშებული, სამადლოდ მეზობლები უვლიან. ასე ამბობს, თავს ვერ ვიკლავ, თორემ გავაკეთებდიო. არ იცის, რომ 20 წელი გვაქვს თითოს, მეზობლებს ვათქმევინეთ, რომ 2-2 წელი მოგვცეს და მალე გაგვიშვებენ. ვერ იცოცხლებს ალბათ ამ ორ წელს და ჩვენი ჯავრი მაინც არ ჩაჰყვება საფლავში“.

„კი, მაგრამ ნათესავები არ გყავთ?!“ — დაინტერესდა 0578.

„მამაჩემის სიკვდილის შემდეგ ყველამ ზურგი გვაქცია, ვის რაში ვჭირდებოდით ორი ბიჭი და ავადმყოფი ქალი?! ეგ კი არა, მამაჩემის მიერ ჩამოწერილი სია ვნახეთ, ვისთვისაც ფული ჰქონდა ნასესხები. ყველამ უარი თქვა, ალალმა ბიძამაც კი“...

„იმასაც ამბობენ, ერთ-ერთი ყაჩაღობის დროს 72 წლის ქალი გააუპატიურესო. მართალი რომ იყოს, ვიცი აქ არ იქნებოდით... ეგ რაღატომ დაგაბრალეს?“.

„ერთ ბინაში შევედით, ვალიუტჩიკი ტიპია. მაგის ბებია იყო სახლში. რომ დაგვინახა შეჰკივლა და გული წაუვიდა. ბინა გავასუფთავეთ და გამოვედით. კარი ღია დარჩა, შეეხეტა მერე მაგათი მეზობელი ლოთი, რაღაც ვაზა წაიღო და ეგ გულწასული ქალი იატაკზევე იხმარა. რომ დაგვიჭირეს და სპერმის ანალიზი აგვიღეს, კინაღამ გადავირიეთ. როგორი საქმეა, საქათმის პასაჟირი ხარ. მერე, როცა ანალიზმა ჩვენი ამბავი გამორიცხა, მეზობლებზე გადავიდნენ და კი დაიჭირეს ის კაცი. გლდანში რომ ყველაზე მოხუცი ქათამია, ეგ იყო რა“.

* * *

„დედას გაფიცებ, დედაჩვენი ნახე, რამე მოიფიქრე და დაარწმუნე, რომ მალე გამოვალთ. ორ თვეში გაგვდის 2 წელი, ის გველოდება და ხომ იცი, არავინ გაგვიშვებს“, — გასასვლელად გამზადებულ 0578-ს ნუგზარი და დათო სახლის მისამართს კარნახობდნენ.

0578 ბიჭების დედასთან ერთი კვირის შემდეგ მივიდა. მომვლელ ქალს ფული დაუტოვა, წამლები უყიდა, ბოლოს კი თავთან ჩამოუჯდა და მშვიდად დაიწყო:

„ბიჭები თქვენზე გაბრაზებული არ არიან, დღემდე მათი საფიცარი ხართ. ამას წინ, დედა რომ შეაგინეს, ისე იჩხუბეს, ადმინისტრაციამ თითო წელი დაუმატა. არ ნერვიულობენ, დედას არავის ვაგინებინებთო, ამბობენ და იმის იმედად არიან, რომ დაელოდებით, გაძლებთ, გადაიტანთ“...

ქალბატონი ნანა ზუსტად იმ დღეს გარდაიცვალა, როცა ბიჭებს ზონაზე ორი წელი შეუსრულდათ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გასვენებაზე დასწრების უფლება არც ერთ ძმას არ მისცა.

პრემიერ-მინისტრმა თეა წულუკიანს პროკურატურის რეფორმირების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა დაავალა

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის მიმდინარეობისას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, პროკურატურის რეფორმაზეც ისაუბრა: **„კიდევ ერთი დანაპირები, რაც მინდა, მოსახლეობას შევახსენო, იყო პროკურატურის რეფორმა. ამ საკითხზე უკვე მქონდა პირველადი განხილვა თეა წულუკიანთან, პროკურატურასა და მთავრობის წევრებთან. ჩვენი მთავარი ამოცანაა, პროკურატურის ორგანოები დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიან მექანიზმად ჩამოყალიბდეს და გაძლიერდეს, მაგრამ ამავე დროს კანონის უზენაესობის პრონციპის განმტკიცებას ემსახურებოდეს. პროკურატურა არის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო და ჩემთვის, როგორც პრემიერ-მინისტრისთვის მნიშვნელოვანია, არ დარჩეს არც ერთი უწყება, რომელსაც ჩვენი რეფორმატორული კურსი არ შეეხება და ჩვენი მმართველობის პირობებში არ გახდება უკეთესი, ვიდრე ახლაა. საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის მშენებლობა სწორედ ამას გულისხმობს და ჩვენ ყველანი სწორედ ამისკენ მივისწრაფვით. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, გავცეთ ინსტრუქცია, დაიწყოს პროკურატურის ორგანოების ინსტიტუციურ რეფორმაზე მსჯელობა და ეს მსჯელობა წარიმართოს თუნდაც ევროკავშირთან თანამშრომლობით დაფუძნებულ სისხლის სამართლის უწყებათა შორის საბჭოში, რომლის შემადგენლობაში შევლენ ძალოვანი სტრუქტურები, თვითონ პროკურატურა, არაერთი სამინისტრო, ევროკავშირი, გაერო-ს განვითარების პროგრამა, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო სექტორი. მინდა ვთხოვო თეა წულუკიანს, რომ შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ რეფორმაზე იმუშავებს“.**

ირაკლი ღარიბაშვილისვე თქმით, რომელ მოდელს აირჩევს საქართველოს ხელისუფლება, ეს მუშაობის პროცესმა უნდა აჩვენოს.

„პირველი“

ვანო მერაბიშვილის მშობლების სახლის გაძარცვის ბრალდებით სამი პირი დააკავეს

დაკავებულია წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი სამი პირი: 1993 წელს დაბადებული გიორგი შ, 1987 წელს დაბადებული ზაზა ქ. და 1989 წელს დაბადებული თამაზ ქ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 16 დეკემბერს, დაბა აბასთუმანში ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში აბაზანის სარკმლიდან ფარულად შეაღწიეს, საიდანაც პლაზმური ტელევიზორები, ჭურჭელი, სხვადასხვა დასახელების სასმელი, მოვერცხლილი ხატი და საყოფაცხოვრებო ნივთები მოიპარეს. სამართალდამცველებმა თბილისში, ერთ-ერთი დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მოპარული ნივთების გარკვეული ნაწილი ამოიღეს. ასევე, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაზრობიდან მოპარული ჭურჭლის ნაწილი, ხოლო თბილისში მდებარე 2 ლომბარდიდან ტელევიზორი და ლეპტოპი ამოიღეს. გამოძიება ბინაში უკანონოდ შეღწევით ქურდობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„პირველი“

აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

დადგენილია, რომ ბრალდებულმა, გორის ტერიტორიაზე, ქართული აქციზური მარკის გარეშე გადაზიდა და გაასაღა აქციზური მარკის სავალდებულო დართვასდაქვემდებარებული დიდი რაოდენობით კონიაკი „ჰენესი“.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 4-დან 6 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

„ვერსიანიუსი“

რა გავლენას მოახდენს რუსული სავალუტო კრახი საქართველოს ეკონომიკაზე

რუსი ანალიტიკოსები რუბლის ვარდნის შესაჩერებლად, მთავრობას სავალუტო კონტროლს ურჩევენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რუსული რუბლის ვარდნის შესაჩერებლად, რუსი ანალიტიკოსები, მსხვილი კომპანიების ტოპ-მენეჯერები და ფინანსისტები, ხელისუფლებას სავალუტო კონტროლის შემოღებას ურჩევენ. მათი აზრით, რუსეთის ცენტრალური ბანკი სიტუაციის კონტროლს კარგავს და მთავრობას სხვა გზა არ რჩება იმის გარდა, რომ სავალუტო ოპერაციები შეზღუდოს. მეტიც, ანალიტიკოსები რუსეთში 1998-1999 წლების განმეორებას ელიან, როდესაც რუსული რუბლი, დაახლოებით, 170%-ით დაეცა. სავალუტო კონტროლის გარდა, რუსი ფინანსისტები და ანალიტიკოსები არც ანგარიშების გაყინვას ანუ დეფოლტს გამორიცხავენ. როგორ აისახება რუსეთში შექმნილი არც ისე სახარბიელო ფინანსური მდგომარეობა საქართველოს ეკონომიკასა და საექსპორტო პროდუქციაზე? რას ნიშნავს სავალუტო კონტროლი და საშიშია თუ არა რუსული რუბლის დეფოლტი საქართველოსთვის? „ვერსიას“ ეკონომიკური განვითარების ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომან გოცირიძე ესაუბრება.

— ბატონო რომან, რას ნიშნავს სავალუტო კონტროლი და რა ვითარებაშია დღეს რუსული ეკონომიკა?

— სავალუტო კონტროლის დაწესება უკიდურესი ზომაა, რაც ნიშნავს, რომ რუსეთში ლიბერალური (თუკი ასეთი შეიძლება ვუწოდოთ) ეკონომიკური რეჟიმი დასრულდა. რუსეთის ეკონომიკა სახელმწიფო რეგულირების ფორმას დაუბრუნდება. სავალუტო კონტროლი, სახელმწიფოს მიერ, უცხოური ვალუტის მოძრაობის გაკონტროლებას ნიშნავს. ის უზარმაზარ ბიუროკრატიას მოითხოვს — ვალუტის მოთხოვნის დადასტურებას უამრავი ნებართვა და ლიცენზია დასჭირდება, ეკონომიკის ყველა სფეროში უცხოური სავალუტო ოპერაციები მკაცრად გაკონტროლდება. ეს მძიმედ დააწვება ეკონომიკას, მით უმეტეს, ქვეყანას სანქციები დაუწესეს. ამ ფონზე, მისი შედეგის პროგნოზირება გაძნელდება. რუსეთი 90-იანი წლების მდგომარეობას დაუბრუნდება, მოსახლეობისთვის მთავარი ვალუტა დოლარი იქნება, რუსული რუბლის მოქმედების არეალი კი ეკონომიკაში შეიზღუდება, რაც საბოლოოდ, ეკონომიკურ ზრდას მეტად შეამცირებს. რუსეთის ეკონომიკაში ფაქტობრივად ფინანსური სისტემა ჩამოშლილია. საერთაშორისო ნორმებით, ვალუტის ერთბაშად, 10%-15%-ის ფარგლებში ვარდნა სავალუტო კრიზისად აღიქმება. თუ ვალუტის დევალვაცია 20%-ზე მეტი ოდენობის ფარგლებში ფიქსირდება, ამას სავალუტო კრახი ეწოდება. დღეს რუსეთში სავალუტო კრახია, რადგან ბოლო წლებში, რუსული ვალუტა მნიშვნელოვნად გაუფასურდა და ზოგ შემთხვევაში, 100%-იანი ვარდნაც კი დაფიქსირდა. ფინანსური კრიზისის მესამე სტადია, გაცილებით მძიმე — საბანკო კრიზისია, რომლის დაძლევას წლები დასჭირდება. მაგალითად, რუსეთის მსგავსი ქვეყანა ორი თვის წინანდელ მდგომარეობას რომ დაუბრუნდეს, დაახლოებით, სამი წელია საჭირო. ჯერჯერობით, რუსეთში საბანკო კრიზისი არ არის, თუმცა მისი ნიშნები იგრძნობა. ამ ეტაპზე, რუსეთისთვის გამოსავალი ისაა, უკრაინაში სამხედრო ინტერვენციაზე ხელი აიღოს. ჩანს, ამ ქვეყნის მარიონეტების სამხედრო გეგმები უკრაინაში, სწორედ რუსული რუბლის კრახით დასრულდა. ამიერიდან ეს კონფლიქტი ქრონიკულ, გაყინულ მდგომარეობაში გადავა და რუსეთს უზარმაზარი სახსრების ხარჯვა მოუწევს ყირიმისა და დონბასის შესანახად, რაც მის ეკონომიკას მძიმედ დააწვება.

— რუსეთში სავალუტო კრახი მეზობელი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკაზე როგორ აისახება

— ყველაზე მეტად ის ქვეყნები დაზარალდება, რომლებიც რუსეთის ეკონომიკაში არიან ინტეგრირებულნი. ნაკლებად დაზარალდება აზერბაიჯანი, რომელსაც, ნავთობიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის დიდძალი რეზერვი აქვს. პრობლემები შეექმნება სომხეთს. საქართველოს შემთხვევაში კი, კიდევ ერთხელ დამტკიცდა თეზისი, რომ რუსეთთან მიბმა სახიფათოა, რადგან ის ყოველ 10 წელიწადში უქმნის საფრთხეს მეზობელ ქვეყნებს. პირველი, სერიოზული კრიზისი 1998 წელს შეიქმნა, როცა რუსული ვალუტა დაახლოებით 170%-ით დაეცა. მეორე ათწლეულში, 2008 წელს, ომი წამოიწყო საქართველოსთან, რასაც ფინანსური კრიზისიც დაემატა. ეს ციკლი უკრაინაში რუსეთის უგნური ქმედების გამო დაირღვა — მესამე ეტაპი ლოგიკურად 2018 წელს უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოვლენები 4 წლით ადრე განვითარდა. ამ ფონზე, რაც მეტად მიებმება საქართველო რუსეთის ბაზარს, მით მეტი იქნება რუსული რისკების იმპორტის საფრთხე ჩვენს ქვეყანაში. ჩვენთვის სტრატეგიული ბაზარია ევროპა, სადაც შესვლა ძნელია, მაგრამ ფეხისმოკიდების შემდეგ, საფრთხე აღარ არსებობს. დიდი მნიშვნელობა ექნება ჩინურ ბაზარს და უმჯობესია, საქართველოს ხელისუფლებამ მილიონები დახარჯოს არა ხელფასებსა და პრემიებში, არამედ ჩინეთში, რათა საექსპორტო საზღვარი როგორმე გაარღვიოს.

— ვიდრე საქართველოს საექსპორტო ბაზარს ჩინეთიც დაემატება, როგორ აისახება ქართული პროდუქციის ექსპორტზე რუსეთში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობა?

— რუსეთის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოდან იმპორტს ახორციელებენ, მოუწევთ, ბანკებსა და მთავრობას სთხოვონ ლიცენზია და ნებართვა, რომ ამ პროდუქციის შესაძენად ვალუტა მიიღონ. არის მეორე ვარიანტიც, ამ პროდუქციაში გადაიხდიან რუსულ რუბლს, ხოლო ექსპორტიორ ქართულ კომპანიებს მოუწევთ, სთხოვონ რუსეთის მთავრობასა და ბანკებს, რუსული რუბლი უცხოურ ვალუტაში დააკონვერტირონ. ტექნიკურად, ეს პროცესი გართულდება, რადგან სავალუტო კონტროლი ზედმეტ ბიუროკრატიას ნიშნავს. თუმცა უცხოური ვალუტის შეძენის უფლება მაინც ექნებათ, რადგან სავალუტო კონტროლი, სავალუტო ოპერაციებზე უარისთქმას არ ნიშნავს. მთავარი საფრთხე რუსეთიდან გადმორიცხვების შეფერხებაშია. ოქტომბერში გადმორიცხვები 6 მილიონი დოლარით შემცირდა, ახლა დაახლოებით 20 მილიონი დოლარით. წლიური გადმორიცხვები არ შემცირებულა და ამერიკიდან, იტალიიდან და ისრაელიდან გადმორიცხული თანხების ხარჯზე მილიარდ ნახევარი დოლარის ფარგლებში იქნება, მაგრამ ტენდენცია უსიამოვნოა. დანარჩენს, ყველაფერს ეშველება. ჩვენი ექსპორტი შემცირდება, მაგრამ რუბლის დევალვაციის გამო, დაახლოებით, 10%-12%-ით გაიზრდება ქართული ღვინისა და მინერალური წყლის ფასი. დიდი უბედურება არც ესაა, რადგან საახალწლო გაყიდვები მაინც გაიმართება, ცხოვრება გრძელდება და ალკოჰოლური სასმელიც გაიყიდება. ქართულ კომპანიებს მოგება კი შეუმცირდება, მაგრამ ეს სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. მეორე მხრივ, დადებითი მომენტი ის არის, რომ ფაქტობრივად, უკრაინის ეკონომიკა ბოლო წერტილამდე დაეცა, 2015 წლის ზამთრის შემდეგ, ამ ქვეყანაში ნელ-ნელა აღდგება მსყიდველობითუნარიანობა და ქვეყანაში ეკონომიკა გამოცოცხლდება, რასაც აუცილებლად მოჰყვება საქართველოს ექსპორტის ზრდა უკრაინაში. დადებითი მხარე ისიცაა, რომ მსოფლიოში ნავთობის ფასი თითქმის ორჯერ დაეცა, ამიტომ იგივე რაოდენობის ნავთობრპროდუქტების შესაძენად, საქართველოდან ორჯერ ნაკლები ვალუტა გავა. შესაბამისად, ის უარყოფითი ცვლილებები საგადამხდელო ბალანსში, რაც რუსეთის ვალუტის დევალვაციის შედეგად წარმოიშვა, ნავთობის ფასების გაიაფებითა და ვალუტის დაზოგვით ჩანაცვლდება. ეს კი, ჯამში, პარიტეტს დაამყარებს.

— რუსეთში რუბლის ვარდნას, საქართველოში ლარის ვარდნასთან კავშირი არ აქვს?

— ლარის დევალვაციასთან დაკავშირებული პრობლემები შიდა ფაქტორებითაა გამოწვეული, რაც არასწორ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკას, ასევე ბიუჯეტის დიდ სოციალურ ხარჯს უკავშირდება. დამნაშავეს გარეფაქტორებში ნუ ვეძებთ, ლარის გაუფასურების 95%, ეკონომიკაში ცვლილებებს — რეგულირების გაძლიერებას, სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევას ეკონომიკასა და საზოგადოების ცხოვრებაში, ლიბერალური ეკონომიკური კურსის კორექციას უკავშირდება. ლარის ვარდნა რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან პირდაპირ მიბმული არ არის. როცა ამბობენ, ჩვენი ეროვნული ვალუტის ვარდნას მეზობელ ქვეყნებში დოლარის გაძლიერება იწვევსო, ისიც უნდა თქვან, რატომ. ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, თუ მეზობელ ქვეყნებში — რუსეთში, უკრაინასა და თურქეთში ვალუტა სუსტდება, ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტი უნდა გაიზარდოს. მეტი რუსული, უკრაინული და თურქული საქონელი უნდა ვიყიდოთ, რადგან ამ ქვეყნებში ადგილობრივი პროდუქცია გაიაფებულია, რაც ნიშნავს, ჩვენი, ეროვნული ვალუტა უფრო დიდი რაოდენობით გაედინება ამ ქვეყნებში. ერთადერთი ეს მექანიზმია, მაგრამ ისევ გიმეორებთ, ამ ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის სანაცვლოდ, ჩვენ ნავთობპროდუქტების იმპორტი გვიიაფდება, რაშიც ნაკლებ ფულს ვხარჯავთ. მთავარი პრობლემა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის შენელებაა, ექსპორტი მცირდება და ეს რუსეთზე დამოკიდებული არ არის, ვინაიდან რუსეთი ჩვენი მთავარი საექსპორტო ბაზარი არაა. უცნაურად მეჩვენება ნახევარმილიარდიანი ინვესტიცია საქართველოს ტრანსპორტის დარგში იმ დროს, როდესაც ლარის ასეთი დიდი დევალვაცია დაფიქსირდა. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უნდა განაცხადოს, ტრანსპორტის რომელ დარგში ჩაიდო 95 000 000 დოლარის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან. როგორ, აზერბაიჯანმა იყიდა მთელი ჩვენი აეროპორტები, თვითმფრინავები, სამარშრუტო და კერძო ტაქსები? ეს უზარმაზარი თანხა ინვესტიციაში როგორ დაფიქსირდა? იქნებ, ეს 95 000 000 აშშ დოლარი ის სესხია, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გაჩერებული, შეფერხებული პროექტისთვის გამოყვეს, რომლის დამამთავრებელი სამუშაოები მესამე კვარტალში ჩატარდა. თუ ეს სესხია, რომელიც შემდეგ ინვესტიციად აღრიცხეს, ესეც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უნდა აგვიხსნას. ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ნახევარმილიარდიანი ინვესტიციის პირობებში, ლარის ვარდნა არ უნდა დაფიქსირებულიყო.

— რუსი ანალიტიკოსები 1998 წლის პერიოდში დაფიქსირებული რუბლის ვარდნის გამეორებას ელიან. ამ ფონზე სავალუტო კონტროლის დაწესება რას ნიშნავს?

— არ მგონია, სავალუტო კონტროლი შემოიღონ, რადგან ეს უკიდურესი ზომა, არაპოპულარული იქნება რუსეთის მოსახლეობისა და ბიზნესისთვის. თუკი ვალუტის თავისუფალი შეძენა შეფერხდება, ამას უამრავი სოციალური პრობლემა მოჰყვება, მათ შორის, შესაძლოა, საზოგადოებაში დიდი პოლიტიკური უკმაყოფილებაც კი მოჰყვეს. ამიტომ რუსეთის მთავრობა შეეცდება, მაქსიმალურად დახარჯოს უცხოური ვალუტის რეზერვები, რათა ვითარება სავალუტო კონტროლამდე არ მიიყვანოს. უცხოური ვალუტის რეზერვების 10%, რომელიც დაახლოებით, 400 მილიარდი აშშ დოლარია, რუსეთს ოქროს ზოდების სახით აქვს. უცხოური ვალუტა კი უცხოეთის ბანკების მომგებიან ფასიან ქაღალდებშია განთავსებული. შესაბამისად, გამორიცხული არ არის, სწორედ ოქროს მარაგების გაყიდვა დაიწყოს, რომელიც პროცენტს არ იძლევა და ნაკლებად შემოსავლიანია, მაგრამ ამით საკუთარი ვალუტის ვარდნას შეაჩერებს.

— იმის გამო, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკი დიდი რაოდენობით უცხოურ ვალუტას ყიდის, ანალიტიკოსები მთავრობას დეფოლტის გამოცხადებასა და ამ რეზერვების გაყინვას ურჩევენ, მაგრამ რეზერვების გაყინვა რუსულ რუბლს უფრო მეტად არ გააუფასურებს?

— ანუ ურჩევენ, რეზერვები არ გამოიყენოს, ხოლო რუსულმა კომპანიებმა და ბანკებმა, უცხოეთის ქვეყნებში არსებული ვალი საკუთარი ქვეყნის სავალუტო რესურსიდან დაფარონ. რუსული კომპანიები და ბანკები სწორედ ამ ვალის გამო ყიდულობენ დიდი რაოდენობით ვალუტას, ამიტომაა ასეთი დიდი მოთხოვნა დოლარზე, რადგან მათ გადაუხდელი კრედიტები აქვთ. ახალ კრედიტებს კი ევროპისა და ამერიკის ბანკები რუსულ კომპანიებსა და ბანკებს სანქციების გამო აღარ აძლევენ. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ დეფოლტი უნდა გამოაცხადოს და უარი თქვას ამ დავალიანების გეგმურ გასტუმრებაზე, მაგრამ მოლაპარაკება უნდა დაიწყოს ახალი გრაფიკის შედეგზე ანუ რესტრუქტურიზაციაზე. თუმცა ეს იმდენად წამგებიანი იქნება რუსეთის ეკონომიკისა და პოლიტიკისთვის, იმდენად დიდ დარტყმას მიაყენებს რუსეთის საინვესტიციო იმიჯს, რომ ამ სიტაცუაში, დეფოლტი გამოსავალი არ არის. მაგალითად, „გაზპრომის“, „როსნეფტისა“ და ყველა რუსული კომპანიის საბირჟო აქციები იმაზე ნაკლები ღირს, ვიდრე ერთი კომპანია „მაიკროსოფტის“ ღირებულებაა. ირონიაა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის ყველა საწარმოს ფასი, რომლებიც ბირჟაზე იყიდება, ორჯერ ნაკლებია, ვიდრე კომპანია „ეფლის“ საბაზრო ღირებულებაა. გამოდის, ჩვენ, ვისაც „ეფლის“ მობილური გვაქვს, რუსეთის ეკონომიკას ტელეფონების სახით, ჯიბით დავატარებთ. ყველაზე დამცინავი ის არის, რომ რუსეთიდან გაქცეულმა სამმა რუსმა მოქალაქემ, რომლებმაც 20 წლის წინ, კომპანია 100 დოლარად დააფუძნეს და რომელსაც საკუთარი სახელების მიხედვით, „გუგლი“ უწოდეს, რუსეთის საფონდო ბირჟის კრახის შემდეგ, „გუგლის“ ფასი უფრო მაღალია, ვიდრე „გაზპრომისა“ და ყველა რუსული კომპანიის, რაც ამ ქვეყნის ბირჟაზე იყიდება.

ვერსიანიუსი

646 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა

მთავრობის სხდომაზე 646 დევნილი ოჯახისთვის (2500-ზე მეტი დევნილი) საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად დაკანონების საკითხი დამტკიცდა.

დევნილებს საცხოვრებელი ფართები თბილისში, კასპში, წყალტუბოში, ბათუმში, ხონსა და საქართველოს სხვა რეგიონებში დაუკანონდათ. დევნილთა და განსახლების სამინისტროში მოქმედებს ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფართი 10 000-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება. იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროექტი, რომელიც მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა, პირველი ნოემბრიდან დაიწყო და 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში, საცხოვრებელი ფართი სულ 5000-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდა.

თბილისში, ერისთავის №1-ში, 18 დევნილი ოჯახი 20 წელზე მეტია ცხოვრობს. ყოფილი ტექნოსერვისის შენობაში მაცხოვრებელი დევნილების განცხადებით, ბინების დაკანონებას წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდნენ. მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ოჯახები საკუთრების მფლობელები გახდნენ.

ბინების საკუთრებაში გადაცემის პარალელურად, დევნილთა და განსახლების სამინისტრო ერისთავის №1-ში მდებარე შენობის გამაგრებით სამუშაოებს ახორციელებს, პროცესი 2014 წლის ბოლოს დასრულდება. ახალი წლიდან კი აღნიშნულ ობიექტზე კიბის უჯრედის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდება.

„პირველი“

წალკაში კოოპერატივების გაერთიანება „თეზი“ შეიქმნა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში, ჯერჯერობით ერთადერთი, მეორე დონის კოოპერატივი „თეზი“, 4 კოოპერატივის გაერთიანებით შეიქმნა. „თეზი“ წალკის რაიონის 4 სოფლის, მათ შორის, ავრანლოს, გუმბათის, ხანდოსა და არწივანის 4 კოოპერატივს — „ქცია 2014“-ს, „გუმბათი 2014“-ს, „ხანდო 2014“-სა და „კორსუ 2014“-ს აერთიანებს. კოოპერატივების გაერთიანება „თეზის“ გამგეობის თავმჯდომარე, ედნარ კახაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ თავდაპირველად, 10 ოჯახის გაერთიანებით, ავრანლოში კოოპერატივი „ქცია 2014“ შექმნა. კოოპერატივმა რძის რეალიზება დაიწყო, მაგრამ იმისათვის, რძის რაოდენობა გაზრდილიყო, რათა საწარმოსთვის პროდუქცია სტაბილურად მიეწოდებინათ, დღის წესრიგში კოოპერატივების გაერთიანება დადგა.

რას ითხოვს „თეზის“ გამგეობის თავმჯდომარე საქართველოს მთავრობისგან?

— ბატონო ედნარ, როგორ შექმენით კოოპერატივი „ქცია 2014“?

— 2014 წლის მაისში, წალკის რაიონში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძემ, კოოპერაციის განვითარებასთან დაკავშირებით, კონსულტაცია გამართა. ამის შემდეგ, 10 ოჯახი შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ, კოოპერატივი დაგვერეგისტრირებინა. ანუ, „ქცია 2014“ თავიდან 10 ოჯახის გაერთიანებით შეიქმნა, მაგრამ დღეს უკვე 34 ოჯახს აერთიანებს. რაც შეეხება „თეზს“, მასში უკვე 72 ოჯახია გაერთიანებული. სხვათა შორის, ვიდრე კოოპერატივი რძის რეალიზაციას დაიწყებდა, 1 ლიტრის ფასი 50 თეთრი იყო, მაგრამ ზაფხულში, მოსახლეობა რძეს უკვე 1 ლარად აბარებდა, ამ ფასად წალკაში რძე არც კი გაყიდულა აქამდე. თითოეული ოჯახის შემოსავალი წელს 200-დან 300 ლარამდე გაიზარდა და ასეთი შედეგი, სწორედ კოოპერაციამ მოგვიტანა.

— კოოპერატივების გაერთიანებას „თეზი“ რატომ დაარქვით?

— როგორც გითხარით, „თეზი“ 72 ოჯახს აერთიანებს, მაგრამ ჩემს მიერ შექმნილ კოოპერატივ „ქცია 2014“-ში, უკვე 34 ოჯახია გაერთიანებული. ჩვენ წალკის რაიონის სოფელ ავრანლოში ვცხოვრობთ, რომლის ძველი, ისტორიული სახელია თეზი. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში არსებობდა ეს სოფელი, ამიტომ კოოპერატივების გაერთიანებას, სწორედ ჩვენი სოფლის ისტორიული სახელი დავარქვით.

— სამწუხაროდ, გლეხებისა და ფერმერების გარკვეულ ნაწილში კოოპერატივი დღესაც საბჭოთა კოლმეურნეობასთან ასოცირდება. ამ ფონზე, ადვილად მიიღეთ კოოპერატივის შექმნის გადაწყვეტილება?

— სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი მაშინაც და ახლაც ასე ფიქრობს. თუმცა, როდესაც კოოპერატივის წესდება ჩამოვაყალიბეთ, გლეხებს ავუხსენით, რომ კოოპერატივის 1 წევრი, 1 ხმას ნიშნავდა. რაც მთავარია, კოოპერატივის მართვის დემოკრატიულ პრინციპზეც გავამახვილეთ ყურადღება და შედეგად, მოსახლეობა კოოპერატივში გაწევრიანდა. დასაწყისში, მართლაც რთული იყო გლეხებსა და ფერმერებთან მუშაობა, მაგრამ მათი დარწმუნება შევძელით და კოოპერატივიც შეიქმნა. რაც მთავარია, გლეხებმაც და ფერმერებმაც მალე დაინახეს, რომ კოოპერატივი მართლაც კარგი შედეგისმომტანი იყო, ანუ ნაკლები ხარჯით, ადამიანური რესურსის მობილიზებით, სახელმწიფო პროგრამებში ჩართვით, საკმაოდ სერიოზულ შედეგს მივაღწიეთ.

— რძის რეალიზაციასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რა პრობლემა შეგექმნათ წალკის რაიონში?

— პრობლემა რძის გადამამუშავებელ საწარმო „ნატურალ პლუსთან“ შეგვექმნა. ახლა ბაზარზე შედარებით ნაკლები მოთხოვნაა და შესაბამისად, საწარმომ რძის მიღება შეამცირა. არადა, აქამდე კარგი ურთიერთობა გვქონდა, საწარმო თანხას დროულად გვირიცხავდა, ჩვენც ხარისხიან პროდუქციას ვაწვდიდით და ორივე მხარე კმაყოფილი ვიყავით. როგორც გითხარით, ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, რძის პროდუქციის რეალიზაცია შემცირდა, რის გამოც, ნაკლები რაოდენობის რძეს იბარებენ. თუმცა ერთადერთი და ძირითადი პრობლემა ის არის, რომ პროექტის „აწარმოე საქართველოში“, ანუ თუნდაც „იაფი სესხის“ ფარგლებში, კოოპერატივები არ ფინანსდება — ბანკი გირაოს უზრუნველყოფას გვთხოვს, ჩვენ კი ამის საშუალება არ გვაქვს. ამ პროექტის ფარგლებში, სესხის აღება რომ შევძლოთ, ჩვენ თვითონ შევქმნიდით რძის გადამამუშავებელ საწარმოს და პრობლემაც აღარ შეგვექმნებოდა. წარმოიდგინეთ, პირველად პროდუქციას ისედაც ვაწარმოებთ, მაგრამ თუ გადამამუშავებელ საწარმოსაც შევქმნით, ჩვენსავე წარმოებულ პროდუქციას გადავამუშავებთ და ბაზარზე მის რეალიზებასაც თავად უზრუნველვყოფთ. ამიტომაც ვთხოვთ მთავრობას, რომ პროექტის „აწარმოე საქართველოში“, ასევე „იაფი სესხის“ მსგავსი სახელმწიფო პროგრამები ჩვენთვის, კოოპერატივებისთვისაც შეიმუშაოს. კარგი იქნება, თუ იაფი სესხი კოოპერატივებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება, რათა კოოპერატივებიც გაძლიერდნენ და სოფლებიც ფეხზე დადგეს. იაფი სესხის პირობებში, ნამდვილად შევძლებთ, საშუალო სიმძლავრის, მცირე გადამამუშავებელი საწარმოები შევქმნათ, სადაც თვითონვე ვაწარმოებთ პროდუქციას, ხოლო სხვადასხვა ობიექტებს მზა პროდუქციას მივაწვდით. რეალურად, პროექტის „იაფი სესხის“ ფარგლებში, ჯამში 600 000 000 ლარამდე გაიცა, მაგრამ ეს თანხა ძირითადად, შპს-ებმა და მილიონიანი ბრუნვის მქონე საწარმოებმა მიიღეს, რომლებსაც გირაოს საშუალება აქვთ. თუ კოოპერატივებს საშუალება არ ექნებათ, „იაფი სესხის“ პროგრამაში ჩაერთონ, განვითარება გაგვიჭირდება. არადა, რძის გადამამუშავებელი საწარმო რომ შევქმნათ, წალკის მოსახლეობის 80% ჩაერთვება ამ საქმეში. ისინი კოოპერატივში გაწევრიანდებიან და ხარისხიან პროდუქციასაც მოგვაწვდიან. ამ თემაზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებსაც ვესაუბრეთ. სააგენტო ძალიან აქტიურად გვეხმარება, მაგრამ ეს იმდენად რთული პრობლემაა, თუ მთავრობა არ ჩაერთვება, მხოლოდ სააგენტოს ძალისხმევა, პრობლემას ვერ გადაჭრის.

სისხლის დეფიციტი — გამოწვევა ონკოჰემატოლოგიური პატარა პაციენტებისთვის

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

შაქრო ცეცხლაძე, ანუკი კენჭოშვილი, ქრისტინე ქავთარაძე, პატარა თენგო... ისინი ლეიკემიით დაავადებული სხვა ბავშვების მსგავსად დახმარებასა და თანადგომას საჭიროებენ, თუმცა როგორც „ვერსიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია მშობელთა კავშირიდან აცნობეს, დღეს ონკოჰემატოლოგიური პატარა პაციენტები კიდევ ერთი და საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე დგანან — იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკში სისხლის დეფიციტია. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში განაცხადეს, ამ მხრივ პრობლემა არ არსებობსო, სოციალურ ქსელებში არაერთი განცხადება ვრცელდება, სადაც სასოწარკვეთილი ადამიანები ამა თუ იმ ჯგუფის სისხლს ითხოვენ. რატომ დგას ჩვენი ქვეყანა ასეთი გამოწვევების წინაშე, „ვერსიას“ მშობელთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და იაშვილის სისხლის ბანკის ექიმი, გიორგი ძიძიგური ესაუბრება.

— დღე არ გავა, რამდენიმე ბავშვი არ გარდაიცვალოს კლინიკაში. უმძიმესი მდგომარეობაა და ამ დროს ჯანდაცვის სამინისტრო ყოვლად უძლურია...

— ხომ არსებობს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა?

— სისხლის ბანკის ექიმს, ნინო ტაბატაძეს, რომელიც ამ ბავშვებთან მუშაობს, თავადაც ლეიკემია აქვს, სჭირდება ძვირადღირებული მედიკამენტები, მაგრამ სახელმწიფო სათანადო დახმარებას ვერ უწევს. სწორედ ამიტომ ვეკითხები ჯანდაცვის სამინისტროს — რას აკეთებენ, როცა ასეთ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ? განსაკუთრებით დეფიციტურია მე-3, მე-4 ჯგუფის რეზუსუარყოფითი სისხლი. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს ვაკეთებთ ამ ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად, ხშირად უძლურნი ვართ, ახლახან ჯემალიკო ჩაფიძე გარდაიცვალა, თურქეთში ოპერაციისთვის 95 ათასი ევრო მოითხოვეს და სამწუხაროდ, თანხა ვერ შეგროვდა. ასეთი ბევრი შემთხვევაა.

— გარანტიებს თუ იძლევა თურქული მხარე, ბატონო გიორგი?

— როდესაც მდგომარეობა მძიმეა, გარანტიები არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ხომ ყველანაირი შანსი უნდა გამოვიყენოთ. არაერთი საქველმოქმედო აქცია ჩავატარეთ თბილისში, მაგრამ სახელმწიფო ვერაფერს აკეთებს, ამას ექიმების არაკომპეტენტურობაც ემატება და... ერთ-ერთ გამოძახებაზე, როცა ბავშვის საავადმყოფოში გადაყვანა იყო საჭირო, სასწრაფო დახმარების ბრიგადას ჟანგბადი გაუთავდა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს ამას, თუ არა არაკომპეტენტურობა და დაუდევრობა.

— ბატონო გიორგი, მხოლოდ თქვენ ამბობთ, რომ სისხლის ბანკში სისხლის დეფიციტია...

— არაერთხელ მოვუწოდე ექიმებს, სიმართლე ეთქვათ, მაგრამ არავინ იღებს ხმას. არადა ამ ბავშვებს სისხლი სჭირდებათ, რომ შემდეგ უცხოეთში მოხერხდეს მათი გადაყვანა და მკურნალობა.

— კი მაგრამ, ის უახლესი აპარატურა, რითიც მსოფლიო თავს იწონებს, საქართველოშიც ხომაა?

— ერთხელ და სამუდამოდ, გაიგოს ყველამ — მთავრობა ამ ხალხის დასახმარებლად არაფერს აკეთებს. ეს ძვირადღირებული აპარატურაც მხოლოდ თავიანთი ოჯახის წევრებისთვისაა და არა ამ ბავშვებისთვის.

— როგორია სტატისტიკა — რამდენი ბავშვია დღეს ლეიკემიით დაავადებული?

— ამბობენ, რომ ასეთი 2 300 ბავშვია, მაგრამ რეალური ციფრი ბევრად მაღალია, უბრალოდ ამ მონაცემებს არ ასაჯაროებენ... ისევე, როგორც ბევრ რამეს — აი მაგალითად, ჩემი სამსახურის უფროსი სალომე ქირია თავად ავადაა და ამდენი წელია ექიმებმა დიაგნოზი ვერ დასვეს.

— ექიმმა რომ ვერ დაადგინა, რა სჭირს ადამიანს, ჯანდაცვის სამინისტრო რა შუაშია?

— ადამიანების სიცოცხლეს არასერიოზულად უყურებენ, ვერ უზრუნველყოფენ სიცოცხლის გარანტიას. ამიტომ ვაპირებთ, რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ მაია ბულეიშვილთან ერთად, მივიდეთ ასეთ ოჯახებში და უსასყიდლოდ ჩავუტაროთ გამოკვლევები. ეს იქნება ქველმოქმედება და არა პიარი, როგორც ამას ზოგიერთი ჩინოვნიკი აკეთებს და თან ტყუის, თითქოს სისხლს აბარეს.

— საქართველოში დონორაციის პრობლემა იქნებ სისხლის ბანკის უნდობლობითაა გამოწვეული — სხვადასხვა ვირუსული ინფექციით დაინფიცირების არაერთი ფაქტი გვახსოვს სისხლის ჩაბარებისას.

— გასაგებია, მაგრამ ბევრი სისხლის სანაცვლოდ თანხას ითხოვს, მაშინ არ ეშინიათ დაინფიცირების? ქველმოქმედებისთვის ამას არავინ აკეთებს და ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ამის გამო არავინ ისჯება.

— ვინ უნდა დაისაჯოს? დონაცია ნებაყოფლობითია და არა იძულებითი, ამ საკითხს სახელმწიფო როგორ დაარეგულირებს?

— ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა მოუწოდოს ყველას, სისხლი გაიღონ იმ ადამიანებისთვის ვისაც ეს ძალიან სჭირდება. რაღაც მექანიზმი უნდა ამუშავდეს, რომ ამ ბავშვებს სიცოცხლე შევუნარჩუნოთ. სხვათა შორის ბევრისგან მსმენია, რომ დონორობას უფროსობა უკრძალავს...

— კარგით, რა, ბატონო გიორგი, გჯერათ თქვენ ამის? სისხლის ჩასაბარებლად ნებართვა უფროსისგან რატომ უნდა ავიღო?

— ...ასე ამბობენ, სამუშაო საათებში ვერ გამოვდივართო. საქველმოქმედო აქციებზე არაერთხელ მოვიწვიეთ ჟურნალისტებიც, მაგრამ უარს ამბობენ.

— იქნებ იმიტომ, რომ ეს თქვენი პიარია?

— არანაირად! მე არც პიარი მჭირდება, არც თანამდებობა. უბრალოდ მინდა, ყველას მოვუწოდო, გაიღონ სისხლი ამ ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად, მოვიდნენ, მოეფერონ მათ, რათა პატარებმა იგრძნონ თანადგომა.

იმის გასარკვევად, რატომ შეიქმნა იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკში სისხლის პრობლემა, „ვერსია“ ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც განგვიცხადეს, რომ: **„გარკვეული პერიოდულობით და საკმაოდ იშვიათად სისხლის ბანკებში იქმნება სისხლის (იშვიათი ჯგუფების) დეფიციტი, თუმცა თვითონ ბანკები არეგულირებენ ამ პრობლემას კადრის დონორების, უანგარო დონორების, პაციენტის ნათესავებისა და ბანკების შეთანხმებული მუშაობის ხარჯზე. ამ მომენტისთვის, იაშვილის სისხლის ბანკში არის ყველა ჯგუფის სისხლი და ინფორმაცია, დეფიციტის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება პრობლემის მოგვარების გზებს, იქიდან გამომდინარე, რომ სისხლის ბანკები არ წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებებს, სამინისტრო მათ საქმიანობაში ერევა მხოლოდ სისხლის ტესტირების (სკრინინგის) დაფინანსების, სისხლისა და მისი კომპონენტების უსაფრთხოებისა და ხარისხის კონტროლის კუთხით. სისხლის დეფიციტის (რაც კონკრეტულ შემთხვევებში არსებობს და მალევე გვარდება) აღმოსაფხვრელად კი არსებობს სახელმწიფო პროგრამა — „უსაფრთხო სისხლი“, რომლის მიზანიც სისხლის უანგარო დონაციის ხელშეწყობაა. სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა სისხლის უანგარო რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულების პროექტსა და განკარგულებაში გაწერილი ღონისძიებების შესასრულებელ სამოქმედო გეგმაზე, რომელიც მალე დასრულდება. ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის კი ქვეყანაში არსებობს ონკოჰემატოლოგიური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ახორციელებს და ფარავს ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას (მათ შორის პაციენტისთვის საჭირო სისხლისა და მისი კომპონენტების ღირებულებასაც)“.**

სუდოკუ

ადვილი

			6	8			5	
	6		2			3		
					7	6		2
3					9		7	
		8		3		1		
	5		1					3
5		9	8					
		7			3		8	
	1			5	2			

სტანდარტი

	9				5	3		
				6		5	8	
	5	4						7
	8			3	6			
	6		5	2	1		7	
			9	7			5	
5						9	6	
	3	9		5				
		6	2				3	

რთული

1					2			
			6		8		9	7
		7						5
8		1	5			6		
		6				9		
		4			6	7		2
7						8		
6	2		8		3			
			4					6

ექსპერტი

		4			8			5
				2			9	
9		3				2		
6	4		9					
		8	2		7	3		
					4		7	9
		5				1		4
	6			8				
3			1			6		

ყველაზე „დაჩაგრული" დიასახლისები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ, როცა საქმე ბავშვის მოვლასა და სახლის დალაგებას ეხება, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს გენდერული ბალანსი ხშირად ავიწყდებათ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (The Organisation for Economic Co-operation and Development) დაინტერესდა ამ საკითხით და შეეცადა გაერკვია, რომელ ქვეყნებში ირღვევა ყველაზე მეტად გენდერული ბალანსი და კვირაში რამდენ საათს ხარჯავენ სუსტი სქესის წარმომადგენლები საოჯახო საქმეზე. ორგანიზაციამ კვლევა 28 ქვეყანაში ჩაატარა. შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვის მოვლისა და საოჯახო საქმეებში ჩართულობის თვალსაზრისით, მსოფლიოში გენდერული თანასწორობა აპენინებზე ირღვევა. იტალიელი ქალები საოჯახო საქმეებზე კვირაში, კაცებთან შედარებით, 21 საათით მეტს ხარჯავენ. იგივე დონეზე ეს პრობლემა ამომავალი მზის ქვეყანაშიც. იაპონელი ქალებიც 21 საათით მეტად არიან დაკავებულები სახლის საქმეებით, ვიდრე მათი მეუღლეები. ინდოეთში ეს განსხვავება 18 საათია, ესპანეთში — 15, თურქეთში — 14, მექსიკაში — 13 და საფრანგეთში — 12,5. ორგანიზაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქმრებთან შედარებით, მათი მეუღლეები თითქმის არ ერთობიან, ან საკუთარ თავზე სათანადო ზრუნვისთვის ვერ იცლიან.

რომელ ყურში გვესმის უკეთ?

იტალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ და ამუშავებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც მარჯვენა ყურით ისმენენ. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარჯვენა ყურს უკეთ ესმის ლაპარაკი, ადრეც არსებობდა, რაც იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ვერბალური ინფორმაცია თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მიერ მუშავდება. მკვლევარებმა ამ ჰიპოთეზის შემოწმება რეალურ ცხოვრებაში გადაწყვიტეს. იტალიელთა კვლევები სამ ეტაპად მიმდინარეობდა: პირველის დროს სწავლულები აკვირდებოდნენ 176 მოხალისის ქმედებას იმ მომენტში, როცა ისინი ცდილობდნენ, თანამოსაუბრისთვის ხმამაღალი მუსიკის ფონზე მოესმინათ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 72% მოსაუბრისკენ მარჯვენა ყურით ტრიალდებოდა. მეორე ეტაპზე მკვლევარები კლუბის სტუმრებთან მიდიოდნენ და დაბალ ხმაზე ამბობდნენ უაზრო ფრაზებს,თან აკვირდებოდნენ, რომელი მხრით მიბრუნდებოდა მათკენ მსმენელი. 160-დან 58% მარჯვენა ყურით ბრუნდებოდა. მესამე ეტაპზე კი სწავლულები ადამიანებს სიგარეტს სთხოვდნენ, მაგრამ მათ ხან მარცხენა ყურთან მიმართავდნენ, ხან — მარჯვენასთან. მათ გაცილებით მეტი სიგარეტი მიიღეს, როცა ადამიანები მარჯვენა ყურით ისმენდნენ თხოვნას. მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ის უპირატესობები, რაც ტვინის ფუნქციონალურ ასიმეტრიას უკავშირდება, ყოველდღიურ ურთიერთობებში გამოვლინდება და ადვილი შესამჩნევია.



ქალის მომხიბვლელობის მთავარი ფაქტორი ხმაა

ახალი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელთა მომხიბვლელობის მთავარი ფაქტორი მისი ხმაა. ვენის უნივერსიტეტის სწავლულებმა 42 სტუდენტ გოგონას ფოტოები გადაუღეს და მათი ხმები ჩაიწერეს. მერე ეს ჩანაწერები მამაკაცების ჯგუფს აჩვენეს. ექსპერტების დასკვნების მიხედვით, სექსუალური ხმის მქონე ქალებს უფრო ხშირად ასახელებენ მომხიბვლელებად და მიმზიდველებად. ექსპერიმენტის დროს ძლიერი სქესი აფასებდა ხმის იოგებს, ხახას და ცხვირის ღრუს, რომლის წყალობითაც მომხიბვლელ ქალებს შედარებით მაღალი ღაწვები, ნიკაპის რბილი ხაზები და სქელი ტუჩები აქვთ, მთლიანი სახე კი — უფრო სიმეტრიული.

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	8	3	7	2	6	5	4	1
2	1	7	5	9	4	8	6	3
6	5	4	8	3	1	9	2	7
5	7	2	1	8	3	4	9	6
4	3	1	2	6	9	7	8	5
8	9	6	4	7	5	3	1	2
7	6	5	9	1	8	2	3	4
3	4	9	6	5	2	1	7	8
1	2	8	3	4	7	6	5	9

სტანდარტი

8	2	9	6	7	5	4	3	1
7	1	6	3	4	8	5	2	9
5	4	3	2	1	9	8	7	6
6	9	7	1	5	4	3	8	2
2	3	8	7	9	6	1	5	4
1	5	4	8	3	2	9	6	7
4	8	1	5	6	7	2	9	3
9	7	5	4	2	3	6	1	8
3	6	2	9	8	1	7	4	5

რთული

9	8	1	5	7	6	4	2	3
7	6	5	4	3	2	1	9	8
3	4	2	1	9	8	7	6	5
1	3	9	6	2	7	8	5	4
4	5	8	9	1	3	6	7	2
2	7	6	8	5	4	3	1	9
8	2	7	3	6	5	9	4	1
6	1	4	2	8	9	5	3	7
5	9	3	7	4	1	2	8	6

ექსპერტი

2	6	8	3	5	1	9	4	7
4	1	9	2	8	7	6	3	5
3	7	5	6	9	4	2	1	8
7	5	2	4	6	9	3	8	1
9	8	1	7	3	5	4	6	2
6	4	3	1	2	8	7	5	9
5	3	6	9	1	2	8	7	4
1	2	7	8	4	6	5	9	3
8	9	4	5	7	3	1	2	6

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ჰესის მშენებლობის მიზნით 45 მლიონი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდება

1 მილიონ ლარამდე დამატებითი თანხა კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შევა

საინვესტიციო კომპანია Galt & Taggart, სპეციალურად შექმნილი კომპანია „სვანეთი ჰიდროს“ მეშვეობით, ავსტრიულ დამოუკიდებელ ენერგიის მწარმოებელ კომპანია RP Global-თან ერთად, მდინარე მესტიაჭალაზე, 30 მეგავატიან ჰესს ააშენებს. შესაბამისი მემორანდუმი, „გალტ ენდ თაგარტის“, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ავსტრიული დამოუკიდებელი ენერგიის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებმა უკვე გააფორმეს.

„გალთ ენდ ტაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, **არჩილ გაჩეჩილაძის** განმარტებით, **„ეს იქნება არაკაშხალური ტიპის „მომდინარე წყალზე“ დადგმული ჰესი, რომელიც წლიურად საშუალოდ 100 მლნ კვტ/სთ-ზე მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. ჰესის მშენებლობა მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რადგან მშენებლობის პროცესში შეიქმნება დამატებით სამუშაო ადგილები. ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მხოლოდ ამ პროექტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიონ ლარამდე თანხას მიიღებს ქონების გადასახადის სახით. მესტიაჭალის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ადგილობრივ ბაზარზეც გაიყიდება და ექსპორტზეც გავა“.**

ზემო სვანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს მცირე ჰესების კუთხით, მესტიაჭალის გარდა, შესაძლებელია კიდევ რამდენიმე მსგავსი პროექტის განხორციელება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მესტიაჭალა ჰესის მშენებლობა წარმოადგენს ე.წ. მწვანე ენერგიის განვითარების პროექტს და დადებითად აისახება გარემოზე ზემოქმედების კუთხითაც.

RP Global-ის დირექტორმა და მთავარმა აქციონერმა, **გერჰარდ მათსინგერმა** კი, იმ ფაქტორებზე ისაუბრა, რომლის გამოც, მათთვის საქართველოში ინვესტიციის განხორციელება მიმზიდველი და საინტერესოა: **„RP Global, განახლებადი ენერგიის სექტორში 25 წელზე მეტი ხნის გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ენერგიის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც ფოკუსირებულია ჰიდრო და ქარის ენერგიის პროექტებზე. ავსტრიის გარდა, დღეისთვის პროექტებს ვაწარმოებთ ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში. საქართველოში კი, თავის დროზე, „საქართველოს ბანკმა“ მოგვიწვია, რაც ძალიან კარგი გადაწყვეტილება იყო. საქართველო იმითაა მიმზიდველი, რომ თქვენს ქვეყანას კარგი რესურსები აქვს ჰიდროენერგიის თვალსაზრისით, სტატისტიკა ცხადყოფს, რომ აქ შესანიშნავი საინვესტიციო კლიმატია და მესამე, რაც ასევე ძალიან მოგვწონს — საქართველოში არაა კორუფცია და კანონის უზენაესობა დაცულია. ამასთანავე, აქ კონკურენტული გარემოცაა. ამ ფონზე, მზად ვართ, „საქართველოს ბანკის“ შვილობილ კომპანია „გალთ ენდ ტაგარტთან“ ერთად, დაახლოებით 5-8 პროექტი განვახორციელოთ. პირველი პროექტის მშენებლობა მომავალი წლიდან უკვე დაიწყება“.**

ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ კი, იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ საქართველოს ენერგეტიკის სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით,

სახელმწიფო აუცილებლად შეუწყობს ხელს კერძო კომპანიებს ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში.

კახა კალაძე: „მთავრობამ ენერგეტიკის დარგი პრიორიტეტად გამოაცხადა, რადგან ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია, თუ ენერგეტიკულად არ ვიქნებით განვითარებული და დამოუკიდებელი. ჩვენ ძალიან დიდი რესურსი გაგვაჩნია, მაგალითად, წყლის მიმართულებით. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს ჰიდრორესურსები მაქსიმალურად რაციონალურად ავითვისოთ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციაა, ჩაიდება ამ პროექტის განხორციელებაში. ჩვენ, მთავრობა, ხელისუფლება, მზად ვართ დახმარებისთვის, ხელშეწყობისთვის და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ბევრ პროექტს განვახორციელებთ ერთად. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა საქართველო მომავალში გახდეს ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა“.

ჰესის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და პროექტის ძირითადი დიზაინი დასრულების სტადიაშია. მშენებლობა მდინარე მესტიაჭალაზე 2015 წლის გვიან გაზაფხულზე იგეგმება და 45 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდება. საქართველოში ჰესის მშენებლობაში RP Global პირველად მონაწილეობს. RP Global-ს აქვს ინტერესი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმართ და პროექტების განხორციელებას მომავალშიც გეგმავს.

ნინო ლურსმანაშვილი